# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 7 ნოემბერი 2008 №258 (3482) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჰექტორ კუპერის სარეზერვო სია

ზოგ ქველს კი და ზოგ ქველს არა

## 24.02.2007 23:07:03 ვინ და რატომ იყო ამ დროს ზესტაფონის გასახდელში?!



ჟურნალისტური გამოძიება N95-ის ფოტოების კვალდაკვალ, რომელიც, ვინ იცის, სადამდე მიგვიყვანს... სცემეს თუ არ სცემეს: საკითხავი აი, ეს არის

# ქვემოქართლური ბრძოლა ლიდერებთან





ბექა ფოლამაშვილის ფოტო

# ექტორ რაულ კუპერმა სარუმინეთო დაასახელა
## ბევრი ახალი, მაგრამ რატომ უფრო ბევრი არა?!

**ექტორ რაულ კუპერმა** ის 19-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, რომლებიც რუმინეთთან გასვლითი ამხანაგური მატჩისთვის მოემზადებიან.

გეცოდინებათ, რუმინეთ — საქართველო 19 ნოემბერს ბუქარესტის „დინამოს" სტადიონზე გაიმართება და ჩვენი დროით, 22საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

ნაკრები რუმინეთში 16 ნოემბერს დილით გაემგზავრება.

რაც შეეხება სიას, მასში ვერ ვხედავთ ტრავმამოშუშებულ კახა კალაძეს, ავსტრიული „შტურმის" გიორგი შაშიაშვილს, ნალჩიკის „სპარტაკის" დავით სირაძეს, გერმანული „კარლსრუეს" ალექსანდრე იაშვილს, ლატვიური „ვენტსპილსის" ზურაბ მენთეშაშვილს — ეს ის ფეხბურთელები არიან, ნაკრებში მუდმივად რომ ხვდებიან.

თუმც, როგორც შევიტყვეთ, კუპერს ახალი ფეხბურთელების ნახვა სურს საქმეში, ამათი შესაძლებლობები კი იცის და ამიტომაც არ გამოიძახა...

ოღონდ ისიცაა, რომ ნაკრებში მაინც არიან სხვა „კარგად ცნობილი" ფეხბურთელებიც — ზურაბ ხიზანიშვილი, ლევან კობიაშვილი...

კუპერის ხელში ნაკრებში რომ არ გამოჩენილან და ახლა სარუმინეთო სიაში არიან, ასეთი ოთხი კაცია: მეკარეები რევაზ თევდორაძე და მირზა მერლანი, მცველი ილია კანდელაკი და ფორვარდი ოთარ მარცვალაძე.

საგულისხმოა, რომ არგენტინელმა ნაკრებში დააბრუნა მალხაზ ასათიანი — ეტყობა, კვიპროს-ბულგარეთთან მისი იგნორირება ჭკუის სასწავლებელ მეთოდად ჩათვალა.

ისე, რა მოხდებოდა, ექტორ რაულ კუპერს უფრო მეტი ახალწვეული რომ ენახა საქმეში: თუნდაც ჩეხური „პლზენის" დიმიტრი ტატანაშვილი, ნალჩიკის „სპარტაკის" ალეკო ამისულაშვილი, ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიას" ლევან გვაზავა, უკრაინული „კარპატის" სანდრო გურული, ლიტვური „კაუნასის" ნუკრი მანჩხავა, დანიური „ვიბორგის" გიორგი ფოფხაძე...

წლეულს მეტი ამხანაგური მატჩი აღარც იქნება და სადღა უნდა გამოსცადოს მწვრთნელმა ეს ფეხბურთელები?!

**ილია ნანობაშვილი**




ბექა ფოლამაშვილის ფოტო










*მეკარეები:* გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), რევაზ თევდორაძე (ვაგრა), მირზა მერლანი (ოლიმპი);

*მცველები:* ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგლისი), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), მათე ღვინიანიძე (მიუნხენი, გერმანია), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია), ილია კანდელაკი (შტურმი, ავსტრია), მალხაზ ასათიანი (დინამო, უკრაინა);

*ნახევარმცველები:* ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), ლევან ხმალაძე (დინამო), დავით ოდიკაძე (დინამო), დავით კვირკველია (რუბინი, რუსეთი), გიორგი მერებაშვილი (დინამო), ლუკა რაზმაძე (ვიტ ჯორჯია);

*თავდამსხმელები:* რატი ალექსიძე (ლოკომოტივი), ლევან მჭედლიძე (პალერმო, იტალია), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), ოთარ მარცვალაძე (დინამო, უკრაინა).

# ორი გამოირჩა. ორი — არა

**ორმა** ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა წუხელ უეფას თასის ჯგუფური ეტაპის მეორე ტურში.

კახა კალაძის „მილანმა" შინ რონალდინიოს ბოლო წუთზე გატანილით 1:0 აჯობა პორტუგალიურ „ბრაგას".

კალაძემ ტრავმის შემდეგ პირველად ითამაშა ძირითად შემადგენლობაში და სრულადაც გაისარჯა.

„მილანი" ორ მატჩში ორი მოგებით ლიდერობს თავის ჯგუფს.

90 წუთი ითამაშა ლევან კობიაშვილმაც. მისი „შალკე" სტუმრად 1:1-ზე გაუყარა ესპანურ „რასინგს".

ლევან ყენიას ტრავმის გამო არ უთამაშია.

ამ ფრით გელზენკირხენელებმა პირველი ადგილი შეინარჩუნეს და მეორე ეტაპზე გასვლის კარგი შანსი აქვთ.

კიდევ ერთი ქართველის, ლაშა ჯაკობიას „მეტალისტმა" კი შინ ქულები გაიყო (1:1) ბერლინის „ჰერტასთან". ჯაკობია განაცხადში არ იყო.

**კახა შალამბერიძე**

# უეფას თასი 2008-2009
## ჯგუფური ეტაპი. მეორე ტური

### I ჯგუფი

**რასინგი 1:1 შალკე**

1:0 ტშიტე (59), 1:1 ენგელაარი (63)

**სიტი 3:2 ტვენტე**

1:0 რაიტ-ფილიპსი (2), 1:1 ელია (17), 2:1 რობინიო (57), 3:1 მვარუვარი (62), 3:2 ვილაერტი (65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შალკე | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| სიტი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ტვენტე | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| რასინგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| პსჟ | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

### II ჯგუფი

**ბენფიკა 0:2 გალათასარაი**

0:1 აშიკი (52), 0:2 კარანი (69)

**მეტალისტი 0:0 ჰერტა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ჰერტა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| მეტალისტი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ბენფიკა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ოლიმპიაკოსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

### III ჯგუფი

**შტუტგარტი 2:0 პარტიზანი**

1:0, 2:0 გომესი (76, 80)

**სტანდარდი 1:0 სევილია**

1:0 მბოკანი (38)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| სამპდორია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სტანდარდი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| შტუტგარტი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| პარტიზანი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

### IV ჯგუფი

**ტოტენჰემი 4:0 დინამო (ზ)**

1:0, 2:0 ბენტი (29, 33), 3:0 ჰადლსტოუნი (59), 4:0 ბენტი (69)

**სპარტაკი 1:2 უდინეზე**

0:1 კვალიარელა (12), 1:1 კლემენტე (17), 1:2 კვალიარელა (60პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უდინეზე | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ტოტენჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| დინამო (ზ) | 2 | 1 | 0 | 1 | 3:6 | 3 |
| ნაიმეგენი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| სპარტაკი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

### V ჯგუფი

**მილანი 1:0 ბრაგა**

1:0 რონალდინიო (90)

**ვოლფსბურგი 5:1 ჰერენვენი**

0:1 ვაირინენი (30), 1:1 ძეკო (34), 2:1 გრაფიტე (39), 3:1 მისიმოვიჩი (53), 4:1 ძეკო (59), 5:1 კრჟინოვეკი (70)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ვოლფსბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:1 | 3 |
| ბრაგა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| პორტსმუთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ჰერენვენი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:8 | 0 |

### VI ჯგუფი

**აიაქსი 1:0 ჟილინა**

1:0 სუარესი (41)

**სლავია 0:1 ასტონ ვილა**

0:1 კარეუ (26)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასტონ ვილა | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ჰამბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| აიაქსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| სლავია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ჟილინა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

### VII ჯგუფი

**სენტ-ეტიენი 3:0 რუსენბორგი**

1:0 ილანი (58), 2:0 მაჩადო (63), 3:0 მორალესი (76)

**ვალენსია 1:1 კოპენჰაგენი**

1:0 მორიენტესი (61), 1:1 სანტინი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ-ეტიენი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ვალენსია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბრიუგე | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| კოპენჰაგენი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| რუსენბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |

### VIII ჯგუფი

**ფეიენოორდი 1:3 ცსკა**

0:1 ა. ბერეზუცკი (13), 1:1 ვან ბრონკჰორსტი (29), 1:2, 1:3 ვაგნერ ლავი (40, 81)

**ლეხი 2:2 ნანსი**

1:0 პეჟკო (4), 1:1 მალონგა (10), 2:1 სტილიჩი (21), 2:2 ჟერკა (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ნანსი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| ლეხი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| დეპორტივო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ფეიენოორდი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

## ირლანდია

### პირველი დივიზიონი

**დანდალკი 7:0 ეთლოუნი**

## მექსიკა

### კლაუსურა

**ჩიაპასი 0:3 უნამი**
**ტეკოსი 2:2 პაჩუკა**
**ტიგრესი 1:3 კრუს ასული**

## უნგრეთი

### ლიგის თასი

**ფერენცვაროში 2:1 კეჩკემეტი**

სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ახალგაზრდა ფეხბურთელი

**ირაკლი მებონია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ეროვნული კატეგორიის მსაჯს ლაშა ყუფაცარიას

**მამის**

გარდაცვალების გამო

## საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 10 ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბოლნისის „სიონმა" მორიგი გამოცდა თბილისურ „ვიტ ჯორჯიასთან" უნდა ჩააბაროს

# სიონი კომპლექსის წინააღმდეგ

თბილისი. 7 ნოემბერი. 14 საათი. მ. მესხი

**ლოკომოტივი — ოლიმპი**

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ზ. ჯვარიძე, ს. სპიცინი, ა. ნონიკაშვილი

ბოლნისი. 7 ნოემბერი. 14 საათი. თ. სტეფანია

**სიონი — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, მ. ელიკაშვილი, კ. ბერაძე, დ. სანაია

გორი. 7 ნოემბერი. 14 საათი. ქართლი

**სპარტაკი — ზესტაფონი**

მსაჯები: ლ. სილაგავა, გ. ჩიგოგიძე, ო. მოლოდინაშვილი, ვ. გუმბერიძე

ზუგდიდი. 7 ნოემბერი. 14 საათი. გ. თუთბერიძე

**მგლები — დინამო**

მსაჯები: მ. ურუშაძე, ზ. ხუციშვილი, დ. კვეტენაძე, ო. ხეცაძე

თბილისი. 8 ნოემბერი. 14 საათი. ამერი

**გაგრა — მესხეთი**

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, დ. კურტანიძე, ე. ნარმანია, ი. ურუშაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 8 | 6 | 0 | 2 | 13:4 | 18 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 2 | 1 | 10:5 | 17 |
| ზესტაფონი | 8 | 4 | 2 | 2 | 8:4 | 14 |
| დინამო | 8 | 4 | 1 | 3 | 14:10 | 13 |
| მგლები | 8 | 4 | 0 | 4 | 10:8 | 12 |
| სიონი | 8 | 3 | 3 | 2 | 7:4 | 12 |
| ბორჯომი | 9 | 2 | 4 | 3 | 10:14 | 10 |
| მესხეთი | 8 | 2 | 4 | 3 | 7:9 | 9 |
| გაგრა | 9 | 2 | 2 | 5 | 7:14 | 8 |
| ოლიმპი | 8 | 1 | 5 | 2 | 5:7 | 8 |
| სპარტაკი | 8 | 1 | 0 | 7 | 5:17 | 3 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 6 - ალექსიძე | ლოკომოტივი |
| ვაწაძე | დინამო |
| 5 - გ. თოდუა | მგლები |
| ი. ქიქნაძე | ბორჯომი |
| 4 - კოშკაძე | სიონი |
| გელაშვილი | ზესტაფონი |
| 3 - ლომაია | მგლები |
| სამადაშვილი | მესხეთი |

**დისკვალიფიცირებული:** კახა მახარაძე (ლოკომოტივი)

**საქართველოს** ეროვნულ ნაკრებს 19 ნოემბერს რუმინეთში აქვს ამხანაგური მატჩი და ამის გამო კალენდარში ცვლილებები მოხდა.

მე-10 ტურის ოთხი მატჩი დღეს გაიმართება, ერთი კი — ხვალ. ამ ტურში ორი გამორჩეული შეხვედრაა — ლიდერი „ლოკომოტივი" რუსთავის „ოლიმპს" დაუხვდება, რომელმაც გასულ ტურში პირველ გამარჯვებას მიაღწია. რუსთაველებს ისეთი შემადგენლობა ჰყავთ, ცხრილის ბოლოში მათი ყოფნა მართლაც უცნაურია.

წინა ტურში „ლოკომოტივმა" ქვემოქართლურ გუნდთან, ბოლნისის „სიონთან", 0:1 წააგო. ვნახოთ, რას გაახერხებენ გიორგი კიკნაძის შეგირდები მეორე ქვემოქართლელთან.

ამ ჩემპიონატში უკვე ექვსი გოლის გამტანი რატი ალექსიძე „სიონთან" საერთოდ არ ჩანდა, იქნებ „ოლიმპთან" ვნახოთ მისი აფეთქება. რაც მხოლოდ ალექსიძეს აქვს შეგდებული, იმდენი მთლიანად „ოლიმპს" ვერ მოუხერხებია — მხოლოდ 5 გოლი აქვს გატანილი, აქედან არც ერთია თავდამსხმელების.

მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველებს ასეთი სტარტი აქვთ, ამბიცია არ დაუკარგავთ, კვლავაც საპრიზო ადგილებზე ფიქრობენ.

„ლოკომოტივს" დისკვალიფიკაციის გამო ვერ დაეხმარება კახა მახარაძე, „ოლიმპს" კი კვლავ არ ეყოლება აქვსენტი გილაური, რომელსაც ტრავმა აქვს.

დღეს ბოლნისშიც მაგარი ჯახი იქნება. წინა ტურში ლიდერის წამქცევი „სიონი" კიდევ ერთ ფავორიტ „ვიტ ჯორჯიას" დაუხვდება. „ლოკომოტივის" ძლევით შეგულიანებული ბოლნისელები ვიტელთა დამარცხებასაც შეეცდებიან. ნესტორ მუმლაძის გუნდს მე-20 ეროვნულში სტუმრად არ წაუგია, „სიონი" კი შინ უკვე ორჯერ დამარცხდა — „ზესტაფონთან" და „დინამოსთან".

ერთი სიტყვით, „სიონს" შინ ფავორიტების კომპლექსი ჩამოუყალიბდა. დღეს რა იქნება, ამას ვნახავთ.

„სიონს" ტრავმის გამო ვლადიმერ კაკაშვილი არ ეყოლება, ვიტელები კი გიორგი დათუნაიშვილს მოისაკლისებენ.

ქვეყნის ჩემპიონი „დინამო" ზუგდიდში „მგლებს" ესტუმრება. წინა ტურში „მგლები" ისვენებდა და საინტერესოა, როგორ წაადგა ეს დასვენება. რაინერ ცობელის გუნდი უეჭველ სამ ქულას გეგმავს, მაგრამ არ გვგონია, ამას ადვილად შეეგუონ ზუგდიდელები. ორივე გუნდის მცველებს გვარიანი შრომა მოუწევთ — თბილისელებს 6 გოლის გამტანი მათე ვაწაძე ჰყავთ, მეგრელებს კი — გია თოდუა, რომელმაც ხუთის გატანა უკვე მოასწრო.

ბესიკ შეროზიას გუნდი თუ მოიგებს, დინამოელებს უკან მოიტოვებს. სხვათა შორის, „მგლებს" ფრე არ აქვს. მისნაირი კიდევ ორია — „ლოკომოტივი" და „სპარტაკი".

ცხინვალის „სპარტაკს" მძიმე ბრძოლა ელის: გორში „ზესტაფონს" უნდა დაუხვდეს. ცხინვალელები აშკარა აუტსაიდერებად იქცნენ და თუ იმერლებთან ქულა ვერ აიღეს, კიდევ უფრო გაირთულებენ მდგომარეობას.

ამას წინათ, „ბორჯომთან" ფრის შემდეგ იმერულ კლუბში მდგომარეობა დაიძაბა — კლუბის პრეზიდენტი ილია კოკაია და მეკარე გიორგი ჭანტურია შელაპარაკდნენ და ჯერჯერობით ჭანტურია გუნდთან ერთად აღარ ვარჯიშობს. თუ „ზესტაფონმა" „სპარტაკთან" წაიფორხილა, კლუბის ხელმძღვანელობის უკმაყოფილება მერე ნახეთ.

ცხინვალელთა მთავარი თავსატეხი ნიკა გელაშვილი იქნება, რომელიც ბოლო ოთხი მატჩია, მოედანს უგოლოდ არ ტოვებს. თუ „სპარტაკის" დაცვამ ისე ითამაშა, როგორც აქამდე (17 გოლი აქვს მიღებული), არც გელაშვილი დააკლებს ხელს.

ხვალ გლდანში დებიუტანტი „გაგრა" ახალციხის „მესხეთს" დაუპირისპირდება. ახალციხელები სტუმრად გაცილებით უკეთ ირჯებიან, ვიდრე „ჯემალ ზეინკლიშვილზე" — მოპოვებული 9 ქულიდან „მესხეთმა" შვიდი სტუმრად აიღო.

გაგრელებმა ჩემპიონატი რიხით კი დაიწყეს, მაგრამ, რაც დრო გადის, ვლადიმერ ხაჩიძის გუნდს ძალა აღარ ჰყოფნის — აშკარად ჩანს, რომ უმაღლესში დარჩენა ძალიან გაუჭირდება.

„მესხეთს" დისკვალიფიკაციამოხდილი ბორის გონჩაროვი დაუბრუნდება. სავარაუდოდ, მწყობრში იქნება გიორგი სომხიშვილი, რომელსაც მცირე ტრავმა ჰქონდა, ლადო ახალაიას თამაში კი საეჭვოა — მას ტვინის შერყევა ჰქონდა.

„გაგრა" — მესხეთს" პირდაპირ ეთერში საზოგადოებრივი მაუწყებელი გადასცემს.

**ნუკრი ლოლაძე**






გაბონელები: ჟორჟ აკირემი და პოლ კესანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შავი საქმის სიბნელეები

## კესანის ნოკიამ გამოძიება თავდაყირა დააყენა

**ფოტოებმა,** რომლებიც გუშინდელ „სარბიელში“ გამოვაქვეყნეთ, გვარიანი გამოხმაურება ჰპოვა — ჩვენი წერილის მერე „ზესტაფონის“ ოფისს თემის განსავრცობად ტელეჟურნალისტები შეესივნენ.

სანამ სარბიელური გამოძიების ახალ დეტალებზე გეტყოდეთ, საქმის არსს მოკლედ შეგახსენებთ.

წინა სეზონის დასრულების მერე „ზესტაფონის“ ნახევარმცველი და ამავდროულად, გაბონის ნაკრების კაპიტანი პოლ კესანი სამშობლოში დაბრუნდა, დათქმულ დროს კი კლუბში არ დაბრუნდა. იმერელი კლუბის მცდელობა, მისი კუთვნილი ფეხბურთელის ასავალ-დასავალი გამოერკვია, უშედეგოდ დამთავრდა — გაბონელი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ერთხანს უცნობი გახლდათ, მოგვიანებით კი გაირკვა, რომ კესანი ებრაულ გუნდში, კირიათ შმონას „ჰაპოელში“ ვარჯიშობდა.

ეს ამბავი ისედაც ჩახლართულ საქმეს კიდევ უფრო ართულებდა, მით უმეტეს, რომ იქამდეც ცნობილი ინფორმაცია „ზესტაფონმა“ ერთხელაც დაგვიდასტურა — პოლ კესანს ქართულ კლუბთან კონტრაქტი 2010 წლის გაზაფხულამდე აკავშირებს.

კლუბისა და ჩვენი რეაქცია აბსოლუტურად სწორი და ადეკვატური იყო — მოქმედკონტრაქტიან ფეხბურთელს სხვა კლუბში წასვლის უფლება არ აქვს და თუ ეს მაინც გააკეთა, ერთმნიშვნელოვნად მტყუანია.

მოგვიანებით, როცა პოლ კესანის გზას დინამოელი ჟორჟ აკირემიც დაადგა, ჩვენ აბსოლუტურად იგივე პოზიცია დავიკავეთ.

თუმცა სრული ობიექტიურობისთვის, მეორე მხარის — ამ შემთხვევაში პოლ კესანის ვერსიები და არგუმენტებიც საინტერესო იყო. ბოლოს და ბოლოს, გაბონის ნაკრების კაპიტანი არც ისე სულელი გვეჩვენებოდა, ფიფას წეს-კანონები საერთოდ რომ არ სცოდნოდა. ფიფას წესები კი, გავიმეოროთ, ერთმნიშვნელოვნად გვეუბნება: ფეხბურთელი კონტრაქტის დასრულებამდე კლუბის საკუთრებაა და უნებართვოდ ნაბიჯის გადადგმის უფლება არ აქვს.

ერთი სიტყვით, კესანს გაუჩინარების გასამართლებლად რაღაც ძალიან მყარი არგუმენტი უნდა მოეფიქრებინა და, კაცმა რომ თქვას, ამ არგუმენტის მოფიქრება, მისი კანის ფერიდან გამომდინარე, რთული არც იყო — რასიზმი!

წმინდა საფეხბურთო თემატიკას ოდნავ გადავუხვევთ და ვიტყვით, რომ რასიზმით სპეკულაცია 21-ე საუკუნეში ფრიად გავრცელებული და მომგებიანი რამ გახლავთ. ფაქტობრივად, ნებისმიერი კონფლიქტი, რომლის მონაწილენიც თეთრკანიანი და შავკანიანი არიან, რასიზმის გამოხატულებად აღიქმება.

ბოლო წლებში ვითარება სავალალო კურიოზებამდეც კი მისულა — სრულიად უბრალო საქმის გარჩევაზე თეთრკანიანსა და შავკანიანს შორის რასიზმის იარლიყი მიუკერებიათ.

შეიძლება ითქვას, ბოლო წლების ანტირასიზმომანიამ ისეთი მასშტაბები და ფორმები მიიღო, დასაცავები თეთრკანიანები ხდებიან...

ერთიცაა: სხვადასხვა რასების წარმომადგენელთა თუნდაც საყოფაცხოვრებო კონფლიქტისას ძალიან ხშირად მსაჯულები შავკანიანთა მხარეს იჭერენ, რაკილა რასიზმში დადანაშაულებისა ეშინიათ...

გლობალური პრობლემის განხილვა გაგვიგრძელდა და სათქმელს ცოტა არ იყოს, გადავუხვიეთ. იმის თქმა გვსურს, რომ პოლ კესანმა საპასუხო დარტყმად ზესტაფონელთა რასიზმში დადანაშაულება გადაწყვიტა, რაც, როგორც ვთქვით, თითქმის წაუგებელი ვარიანტია...

„სარბიელის“ პოზიცია იმთავითვე მკაფიო იყო: ნებისმიერ ბრალდებას, მით უმეტეს, რასიზმს, დამტკიცება უნდა, რაკი ვთვლით, რომ უფაქტებოდ ვინმეს რამეში დადანაშაულება არანაკლები დანაშაულია...

გუშინწინ კი „სარბიელმა“ მოიპოვა მობილური ტელეფონით ფარულად გადაღებული ფოტოები, რომლებიც ვერაფერს ამტკიცებს, მაგრამ საინტერესო კი ნამდვილად გახლავთ.

წარმოდგენილ ფოტოებზე ვხედავთ მუქკანიანი მამაკაცის სხეულს დაჟეჟილობებითა და სხვა დაზიანებებით. არც ერთ ფოტოზე სახე არ ჩანს, თუმც ექსპერტიზისთვის ვინძლო ძნელი დასამტკიცებელი არ უნდა იყოს, სხეული ნამდვილად პოლ კესანისაა თუ არა.

ჩვენი რწმენით, არც ის უნდა იყოს ძნელად გასარკვევი, რომ ფოტოები ზესტაფონის სტადიონის გასახდელშია გადაღებული — ფოტოების უკანა ფონი ძალიან ჰგავს „ზესტაფონის“ გასახდელისას.

აი, ამის იქით კი, რასაც გინდა, იტყვი: სხეულის დაზიანებები, შესაძლოა, ცემის კვალიც იყოს და აბსოლუტურად ისეთივე ალბათობაა, რომ სხვა, ვთქვათ, თამაშის დროს შეჯახებისას მიყენებული დაზიანება იყოს...

არადა, სიმართლე დასადგენია...

სიმართლის დადგენის მიზნით ჩვენ გუშინ ჟურნალისტური გამოძიება განვაგრძეთ. მთავარი, რასაც მივაღწიეთ, ეს იყო: სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით დავადგინეთ, თუ რომელი მობილური ტელეფონით და რა დროს იყო გადაღებული ეს ფოტოები.

ტელეფონის მარკაა NOKIA N95, ხოლო ერთ-ერთი ფოტოს გადაღების დროა 2007 წლის 24 თებერვალი, 23 საათი, 7 წუთი და 3 წამი... დანარჩენებიც რამდენიმეწამიანი ინტერვალითაა გადაღებული.

ამ ინფორმაციიდან დაზუსტებით NOKIA N95-ის ამბავი შეგვიძლია ვთქვათ, ზუსტი დრო კი, დიდი შანსია, დავის საგანი გახდეს. მოგეხსენებთ, მობილური ტელეფონი იმ დროს აჩვენებს, როგორც მისი პატრონი დააპროგრამებს და აბსოლუტური გარანტია, რომ 2007 წლის 24 თებერვლის 23:07:03 ზუსტი დროა, არ არსებობს.

მაგრამ, მეორე მხრივ, ალბათობა იმისაც, რომ ნახსენები ფოტოები სწორედ ამ დროსაა გადაღებული, ძალიან დიდია.

ხოლო თუ ჟურნალისტური გამოძიების (და არა სისხლის სამართლის) ამოსავალ წერტილად ამ დროს ავიღებთ...

საფეხბურთო კალენდარში ჩახედვა გვიჩვენებს, რომ 2007 წლის 24 თებერვალს არც ზოგადად ქართულ საკლუბო ფეხბურთში და არც, კერძოდ, „ზესტაფონში“ გამორჩეული არაფერი ხდებოდა. სამაგიეროდ, წინა დღეს, 23 თებერვალს, საქართველოს ჩემპიონატის ტური იყო, რომელშიც „ზესტაფონი“ თბილისში შეხვდა „ლოკომოტივს“.

თუმც სენსაციური გამოაშკარავებების მოყვარულთათვის საინტერესო ამბავიც არაფერია — პოლ კესანს იმ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია.

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური სამდივნოს საერთო განყოფილების უფროსს, სატრანსფერო საქმეების მესვეურ რევაზ შენელიას შევეხმიანეთ და ჩვენთვის საინტერესო კითხვით მივმართეთ. რევაზ შენგელიამ კი გვაცნობა, რომ კესანის სატრანსფერო ფურცელი ფედერაციაში 2007 წლის 5 აპრილს მიუღია. ჩვენთვის საინტერესო თარიღს კი 5 აპრილამდე თითქმის თვენახევარი აშორებს.

მაგრამ ერთია, როდის მოვიდა სატრანსფერო ფურცელი ფედერაციაში და როდის ჩამოვიდა პოლ კესანი საქართველოში. ამ კითხვით უკვე „ზესტაფონის“ პრესსამსახურის უფროს სერგო ფუტკარაძეს მივმართეთ და ასეთი პასუხი მივიღეთ — პოლ კესანს კონტრაქტი 1 აპრილს გავუფორმეთ, რაც შეეხება საქართველოში მის ჩამოსვლას, თებერვლის ბოლო რიცხვებში თუ მარტის დასაწყისში ჩამოვიდაო.

24 თებერვლის საღამოს 11 საათზე „ზესტაფონის“ გასახდელში პოლ კესანის ყოფნა ფუტკარაძემ უარყო.

ცხადია, გუშინვე პოლ კესანთან დაკავშირებაც ვცადეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი გამოგვივიდა. ყველა იმ პიროვნებამ, რომელსაც კესანის ნომერი შეიძლება სცოდნოდა, გვითხრა, რომ გაბონელთან კავშირი არ აქვს და ნომერიც არ იცის.

ამის შემდეგ, რაკი გაბონის ნაკრების კაპიტანი ისრაელში გვეგულებოდა, იქ მომუშავე ქართველ მწვრთნელს, გიორგი დარასელიას ვთხოვეთ დახმარება. გიორგი დაგვპირდა, მაგრამ ცოტა ხანში აქეთ რომ დაგვირეკა, გვითხრა, გავიკითხე და კესანი სადაც ვარჯიშობდა, იმ კლუბიდან გაუშვიათო.

დღეისთვის ეს არის, „სარბიელი“ კი ჟურნალისტურ გამოძიებას განაგრძნობს...

**გიორგი დარჯანია**

# კახა კალაძე: უკვე მზად ვარ



საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა კახა კალაძემ ტრავმა მოირჩინა და „მილანს“ „ნაპოლისთან“ მატჩშიც დაეხმარა. კალაძის გუნდი სერია A-ს ლიდერობს და უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზეც თამაშობს. კახასთან ინტერვიუ მის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა...

— „ნაპოლისთან“ გამარჯვების შემდეგ სერია A-ში პირველ ადგილზე აინაცვლეთ...

— დიახ, ამ გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ვიცოდით, რომ ეს ადვილი არ იქნებოდა, თუმცა საწადელს მაინც მივაღწიეთ. ახლა კი, როდესაც პირველ ადგილზე ვართ, ვიცით, რისი მიღწევა გვსურს და ნამდვილად არ გვინდა ლიდერობის დათმობა.

— ტრავმის შემდეგ პირველი თამაში ჩაატარე. ეს, ალბათ, შენთვის და გუნდისთვისაც მნიშვნელოვანი იყო...

— მართალია, დიდი ხანი მომიწია დასვენებამ, მაგრამ ეს საჭიროც გახლდათ. მართალია, მხოლოდ ბოლო თხუთმეტი წუთი ვითამაშე, თუმცა უნდა ვთქვა, რომ კარგად ვგრძნობდი თავს და უკვე სხვა მატჩების ჩასატარებლადაც მზად ვარ.

— ახლა უეფას თასზე უნდა გადაერთოთ, სადაც პორტუგალიურ „ბრაგას“ ხვდებით...

— ამ შეხვედრაში წარმატება ჯგუფიდან გასვლაში დიდ სამსახურს გაგვიწევს, ასე რომ, მაქსიმალური კონცენტრაციაა საჭირო. ჩვენ რთული ბრძოლისთვის ვემზადებით.

# გაბონელთა გაბონობა

**ჩვენს** ეროვნულ ჩემპიონატს გარკვეულ მიზეზთა გამო ორი გაბონელი შემორჩა — რუსთავის „ოლიმპის“ მცველი ერნესტ აკუასაგა და თბილისის „დინამოს“ მეკარე დიდიე ოვონო. მოგეხსენებათ, ეს ფეხბურთელები თავიანთი ქვეყნის ნაკრებში თამაშობენ და გაბონის ნაკრების თავკაცმა ალენ ჟირესმა გვინეასთან 19 ნოემბრის მატჩისთვის იხმო ისინი. ოვონო და აკუასაგა გაბონში რამდენიმე დღეში გაემგზავრებიან.

იმედია, დაბრუნდებიან...

**ნუკრი ლოლაძე**

# გიორგი შაშიაშვილი: კუპერმა ქართული ფეხბურთი გაიცნო





„ექტორ რაულ კუპერს გუშინ ველაპარაკე და რუმინეთთან გამოუძახებლობის მიზეზი ამიხსნა: ახალი ფეხბურთელები მინდა გამოვცადო, შენი შესაძლებლობები კი კარგად ვიციო“ — გვითხრა გრაცის „შტურმის“ მცველმა გიორგი შაშიაშვილმა, ვისაც გუშინ ავსტრიაში დავუკავშირდით. განვლილ შესარჩევ მატჩებშიც გამოჩნდა, რომ კუპერს შაშიაშვილი ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად ესახება. ის ჭკვიანი მცველია, უკანა ხაზში ყველა ადგილზე უთამაშია და სადმე თავი შეირცხვინაო, ვერავინ იტყვის. გიორგის წარმატებული სეზონი აქვს „შტურმში“, მისი გუნდი მაქსბუნდესლიგაში მეორე ადგილზეა და ბოლო მატჩებში ხომ მთლად ბდღვირს ადენს მეტოქეებს. თუმცა ჯერ ნაკრებზე...

— ნაკრებში მარცხენა მცველად გათამაშებენ, არადა, ცაცია არ ხარ. არ გიჭირს შეტევებში ჩართვა?

— საერთოდ, თანამედროვე ფეხბურთში სულ უფრო ხშირად ხდება, როცა მარჯვენა ფლანგზე ცაციას, ან მარცხენაზე მარჯვენა ფეხით მოთამაშეს აყენებენ. მიჭირსმეთქი, ვერ ვიტყვი. კარიერის უმეტესი ნაწილი ცენტრალურ მცველად ვთამაშობ, თუმც მარცხნივაც შემიძლია. რაც შეეხება შეტევებში ჩართვას, თუ იტალიის ნაკრებთან თბილისში გატანილ ჩემს გოლს გაიხსენებთ... სწორედ მარცხნივ ვიყავი მაშინ და ცაციით შევაგდე.

— კვიპროსთან და ბულგარეთთან მატჩებზე რას იტყვი?

— კვიპროსთან ფრის შემდეგ ბევრი კრიტიკა იყო — რისი გამკეთებელია ეს ნაკრები, ჩვენი საშველი არ იქნებაო. თუმცა ბულგარეთთან სულ სხვა იყო. მათთან ვერმოგება მხოლოდ იღბლის ამბავია. ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსი გვაქვს, ამიტომ, ძალიან პესიმისტებიც ნუ ვიქნებით, გაზაფხულზე ზედიზედ ორი გასვლითი მატჩი გვაქვს და ვნახოთ...

— შენი აზრით, კუპერის მოსვლის შემდეგ რა სიახლეები შეძინა ნაკრებმა?

— კუპერმა ახლოს გაიცნო ქართული ფეხბურთი და მიხვდა, რომ ჩვენი მთავარი მინუსი ტაქტიკა იყო. ბევრ რამეში გაგვარკვია — ახლა გაცილებით უკეთ ვთამაშობთ 4-3-3 და 4-5-1 სქემებით, ვიდრე ადრე. კუპერი ყველაფერს მარტივად გვიხსნის. შეუძლებელია, მისი გადმოცემული ვერ გაიგო.

— ახლა „შტურმზე“ გკითხავ: მეორე ადგილზე ხართ და ალბათ ჩემპიონობას უმიზნებთ...

— ლიდერს სულ ოთხი ქულით ჩამოვრჩებით და რატომაც არა, ჩემპიონობის შანსიც გვაქვს. ავსტრიული პრესა ძალიან გვაქებს და მაქსბუნდესლიგის მოგების ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად გვთვლის. ჩემპიონობა თუ არა, სამეულში მოხვედრა ნამდვილად არ უნდა გაგვიჭირდეს. ბოლო სამ მატჩში 15 გოლი გავიტანეთ, რამაც გუნდს თავდაჯერება უფრო შემატა. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო უშუალო კონკურენტ „აუსტრიას“ სტუმრად დამარცხება. ამასთან, ავსტრიის თასის მეოთხედფინალშიც გავედით და... მოკლედ, საინტერესო მატჩები გველის.

— ილია კანდელაკი როგორ შეეწყო გუნდს?

— მშვენივრად. აქ ყველა აღნიშნავს, რომ კანდელაკი გუნდის საუკეთესო შენაძენია. ილიაც და მეც ამ სეზონში არაერთხელ მოვხვდით ტურის სიმბოლურ ნაკრებში.

**ილია ნანობაშვილი**



# ვისაც გაჰქონდა, იმას მოაქვს

## არველაძე ალკმაარს გოლებს ასწავლის

ჰოლანდიის ჩემპიონატს „ალკმაარი“ ლიდერობს და, ბუნებრივია, ამაში შოთა არველაძესაც მიუძღვის წვლილი. ლუის ვან გაალის ქართველი თანაშემწე „ალკმაარის“ თავდამსხმელების მომზადებაზეა პასუხისმგებელი და ის ფაქტი, რომ გუნდს ერთ-ერთი საუკეთესო შეტევა ჰყავს ჰოლანდიაში, ბევრ რამეზე უნდა მეტყველებდეს. შოთასთან ეს ინტერვიუ „ფონდი არველაძის“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა...

— 2007-08 წლების სეზონში „ალკმაარი“ ერედივიზიონში მე-11 ადგილზე გავიდა, ახლა კი ლიდერია. რითია განპირობებული ასეთი პროგრესი?

— „ალკმაარი“ ახლა უფრო ორგანიზებულად თამაშობს და თავდამსხმელებსაც მეტი გოლები გააქვთ. საამსეზონოდ გუნდს ბევრი ფეხბურთელი არ დაუმატებია, სამაგიეროდ, ისეთებმა დაგვტოვეს, ძირითად შემადგენლობაში ვერმოხვედრით რომ იყვნენ უკმაყოფილონი. ასეთი ფეხბურთელები გუნდში კარგი ატმოსფეროს შექმნას ხელს უშლიან, რადგან არ შეუძლიათ გაითავისონ, რომ ამ ყველაფერს გუნდის ინტერესები მოითხოვს.

— „ალკმაარის“ შემტევ ბირთვს რომელი ფეხბურთელები ქმნიან?

— ბელგიელი მუსა დემბელე, ვინც, სამწუხაროდ, ახლა ტრავმირებულია, მაროკოული წარმოშობის ელ ჰამდაუი და იტალიელი გრაციანო პელე.

— ჰამდაუის და პელეს თუ არ ჩავთვლით, „ალკმაარის“ საუკეთესო ფეხბურთელები ისევ ისინი არიან, რომელთა გვერდით თამაში შენც გიწევდა...

— ასეა, მარტენ მარტენსი და დემი დე ზეუვი დღესაც წამყვანი ფეხბურთელები არიან. მნიშვნელოვანი ფიგურაა მცველი კიუ აიაღინსიც. კაპიტანი სტინ შხაარსი კი ტრავმიანობის შემდეგ ჯერ კიდევ ვერ არის კარგ ფორმაში.

— შენი, როგორც მთავარ მწვრთნელ ლუის ვან გაალის თანაშემწის ფუნქციები, ალბათ ახლა უფრო მკაფიოა...

— მეტოქე გუნდების თამაშებზე დავდივარ, მომაქვს ინფორმაცია და შესაბამის ანალიზს ვაკეთებთ. ამავე დროს თავდამსხმელებსაც ვავარჯიშებ. მატჩისწინა ვარჯიშზე „ალკმაარი“ ორად იყოფა და მეორე გუნდი იმ ტაქტიკით თამაშობს, რომლითაც ჩვენი მომავალი მოწინააღმდეგე სარგებლობს. ამ მეორე გუნდის მწვრთნელი მე ვარ ხოლმე.

— „ალკმაარის“ სამწვრთნელო შტაბი რა პრინციპით მუშაობს?

— სულ ოთხნი ვართ — ვან გაალი, მეკარეთა მწვრთნელი და ორი თანაშემწე. ვან გაალი სამივეს გვეკითხება აზრს, მერე კი თავად იღებს გადაწყვეტილებას.

# კაუნასმა ჩემპიონობა წააგო

**ნუკრი მანჩხავა**-აკაკი ხუბუტიას „კაუნასმა“ ლიტვის ჩემპიონობისთვის ბრძოლა, ფაქტობრივად, დაასრულა.

კაუნასელებმა თითქმის „ოქროს მატჩი“ წააგეს სტუმრად „ეკრანასთან“ — 1:2. ამ გუნდს უკვე 5 ქულით ჩამორჩნენ და ხუთი ტურიღა დარჩა ჩემპიონატის დასრულებამდე.

მანჩხავამ მეორე ტაიმი ითამაშა, ხუბუტია კი შეუცვლელად იყო მინდორზე.

ჩეხეთში „ბოლესლავის“ მეორე გუნდმა ჩეხეთის 18-წლამდელთა ნაკრებთან ამხანაგურში 4:0 მოიგო, გიორგი განუგრავამ 60 წუთი ითამაშა და ორ საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა — პირველი გოლი ჩვენიანის პასით გავიდა.

რუსეთის პირველ დივიზიონში „ანჟიმ“ 0:1 დათმო „სკა-ენერგიასთან“ — უცნაურია, მაგრამ დაღესტნელთა მწვრთნელმა ომარ თეთრაძემ შვიდი ქართველიდან მხოლოდ ერთი, რევაზ ჯიქია ათამაშა — ისიც პირველ ტაიმში.

და ერთიც: „ანჟის“ ოფიციალურ ვებგვერდზე მიმდინარე გამოკითხვით, სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის ნომინაციაში მიხეილ აშვეთია ჯერჯერობით მეორე ადგილზეა.

**ილია ნანობაშვილი**


ჯონ ტერი

# სანდერლენდში ეგონათ თავი

**ჯონ ტერი** ამბობს, რომ ჩემპიონთა ლიგაში „რომასთან“ სამშაბათის მარცხი სწორედ ის განგაშის ზარი, ჩვენებურად კი შემოლაწუნება იყო, ლონდონის გუნდს მეტად რომ სჭირდებოდა. კაპიტნის ეჭვით, ბოლო დროს პრემიერლიგაში მიღწეულმა შედეგებმა „ჩელსის“ ფეხბურთელებს შეუქმნა შთაბეჭდილება, თითქოს მათ მხოლოდ გამარჯვება შეუძლიათ და იტალიაში ამ მცდარი განწყობით ჩავიდნენ. ტერი აცხადებს, რომ ის (1:3), რაც რომში გადახდათ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამეორდეს.

„რომში მომხდარი ამბავი საშინელი იმედგაცრუებისა გახლდათ. ბოლო პერიოდში სანახაობრივად და შედეგიანად იმიტომ ვთამაშობდით, რომ თავჩალუნულები ვშრომობდით და ერთმანეთს ვეხმარებოდით. მოედანზე დაუსრულებელი გადაადგილებების წყალობით მეტოქეები მარცხდებოდნენ, ჩვენ გოლი გოლზე გაგვქონდა. და რომში რაღა მოხდა? რომში ისე ვითამაშეთ, გეგონება, ჩვენი გამარჯვებების საფუძველი გუნდური კი არა, ინდივიდუალური თამაში იყო. ისე ვიქცეოდით, თითქოს მეტოქეზე მაღალი დონისანი ვიყავით, ასე კი არ არის. ახლა ამ პრობლემაზე გასახდელში მკაცრად უნდა დავილაპარაკოთ. მწვრთნელსაც გვარიანი სიმკაცრე მართებს. შესვენებაზე? კი, შესვენებაზე ერთმანეთს რაღაცები ვუთხარით, მაგრამ ხანდახან სჯობს, ჩუმად იყო“ — თქვა ტერიმ.

რომელ ბოლოდროინდელ წარმატებებზე ლაპარაკობსო, შესაძლოა იკითხოს ინგლისის ჩემპიონატში ნაკლებად ჩახედულმა მკითხველმა. საქმე ის გახლავთ, რომ ბოლო პერიოდში „ლურჯებმა“ პრემიერლიგის ისეთი მეტოქეები, როგორებიც არიან „მიდლსბრო“ და „სანდერლენდი“, 5:0 დაამარცხეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი სწორედ ამ სიმსუბუქემ შეაცდინა, ჩემპიონთა ლიგა კი მაინც სხვა დაძაბულობის შეჯიბრება აღმოჩნდა.

27 წლის ტერი განაგრძობს: „ჩვენ იმანაც შეგვაცდინა, რომ კარგად ვიცოდით: ბოლო თვეებში „რომას“ მოგება უჭირს. სხვა სიტყვებით, სავალდებულო გამარჯვების ზეწოლის ქვეშ ჩვენ კი არა, ისინი იქნებოდნენ. სამწუხაროდ, ასეთმა ფიქრმა ის მოიტანა, რომ ჩვენზე ადრე ძრავა მათ აამოქმედეს. ჩვენ მასპინძლებს ადრეული შანსი მივეცით და მათაც დიდი კმაყოფილებით ისარგებლეს. მათ გოლი ისეთ სიტუაციაში გაიტანეს, როდესაც არცერთ ჩვენთაგანს არცერთი რომაელი პერსონალურად აყვანილი არ ჰყავდა.

აქ პასუხისმგებლობას არც მე გავურბივარ, ვინაიდან თავად გახლავართ ის, ვისაც მოწინააღმდეგის პერსონალურად აყვანა ევალება. გავა რამდენიმე დღე და მოედანზე გასვლა და იგივეს გაკეთება მომიწევს. სამწუხაროა, რომ „რომასთან“ წაგების შემდეგ ჩვენი საბრძოლო სულისკვეთება თავიდან იქნება საპოვნელი. ახლა, განცდილ მარცხს რაც მალე დავივიწყებთ, მით უკეთ წავა ჩვენი საქმე. მთავარია მივხვდეთ, რომ ყველაზე ცუდი უბრძოლველობა იყო. ის ბრძოლისუნარიანობა, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში გვახასიათებდა, იმ დღეს საერთოდ არ გვქონია. ჩვენებური ჟინით არც პირველი გოლის შემდეგ ვითამაშეთ, არც მეორის და არც მესამის. მერედა, ჩვენს კარში გოლების გატანა ყოველთვის ძნელი საქმე იყო, ასე რომ, ერთ შეხვედრაში ერთბაშად სამის გაშვებამ ძალიან დამწყვიტა გული. იმედია, ამ მდგომარეობიდან გამოვალთ“.

მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალებას კი შაბათს ისევ პრემიერლიგა მისცემს. „ჩელსი“ „ბლექბერნს“ ხვდება.

ამასთან დაკავშირებით ტერიმ თქვა: „ბოლოს ერთ წაგებულ თამაშში სამი გოლი 2006 წელს გავუშვით. ეს „მიდლსბროსთან“ მოხდა და ამ მარცხს ჩვენი წარმატებების მთელი ეპოქა მოჰყვა. მარცხზე ახლაც ისეთივე რეაგირება გვმართებს. დიდი გუნდები ყოველთვის ასე იქცევიან. იმედი მაქვს, სამდღიანი განცდა საკმარისი იქნება და შაბათს „ბლექბერნს“ ძველებურად დავხვდებით“.

**ბაჩუნა ძიძია**



## გიო ახვლედიანის ლონდონური სვეტეული



# ჰარი

**რამდენიმე** წლის წინ მას შეარქვეს ჰარი ჰუდინი, „საუთჰემპტონის“ გადარჩენისთვის.

ჰარი ჰუდინი ამერიკელი ილუზიონისტი იყო: ყოველი საშინელი მარწუხისგან იხსნიდა თავს.

ოთხიოდ დღის წინ მას უკვე ჰარი პოტერი დაარქვეს, იმ ჯადოქრობისთვის, რაც ბოლო ორ თამაშში ჩაიდინა აქამდე განადგურებული გუნდით.

სინამდვილეში კი, მოგეხსენებათ, საქმე ჰარი რედნაპს ეხება, სამოცი წლის კაცს, რომელსაც ალბათ თან ქუდბედი დააქვს.

განადგურებული „ტოტენჰემი“ ჰარიმ ერთ დღეში შეცვალა. ზუსტად ერთ დღეში. რვაგოლიანი ფრე ჩრდილოლონდონურ დერბიში, ორი ამოღებული ბურთით და ლიდერ „ლივერპულის“ ბოლოწუთს დამარცხება სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანი კიდევ ერთხელ გაოცდეს: რას და როგორ აკეთებს ეს კაცი, რომ გუნდებს სრულიად წარმოუდგენელ სულს შთაბერავს ხოლმე?

ხშირად ამ კითხვას უბრალოდ პასუხობენ ხოლმე: მან ინგლისური ფეხბურთი იცის.

მაგრამ ასეთები ხომ ბევრია.

თავად მოთამაშენი ამბობენ, რომ ჰარის ადამიანებში სიმტკიცისა და საკუთარი თავის რწმენის ჩანერგვა ეხერხება.

მძიმე ავარიის შედეგად მან ოდესღაც ყნოსვა დაკარგა, მაგრამ საფეხბურთო ყნოსვა კი ისეთი განუვითარდა, რომ ბევრი ვერ დაიკვეხნის.

„არსენალთანაც“ და „ლივერპულთანაც“ „ტოტენჰემი“ არ იყო სამაგალითო გუნდი: ალბათ იგივე მორღვეული ადგილები ჰქონდა, რაც ხუანდე რამოსის ხელში, მაგრამ ამ მორღვეულმა გუნდმა სასწაულები აკეთა. „ლივერპულს“ იმდენი მომენტი ჰქონდა „ტოტენჰემთან“ შეხვედრაში, რომ სამ თამაშს ეყოფოდა, მაგრამ თამაში „ტოტენჰემმა“ მოიგო.

„არსენალს“ ეგონა, რომ იოლად ამარცხებდა მარადიულ მოსისხლეს, მაგრამ თამაში ფრედ დამთავრდა.

ჰარი კი ამბობს, რომ ყოველმა ფეხბურთელმა ის უნდა აკეთოს, რაც უყვარს და რაც ყველაზე კარგად გამოსდის, დანარჩენი კი მოვა და მოწესრიგდება.

ამიტომაც უხათქუნებს, მესამე თამაშია, დევიდ ბენტლი და ამიტომაც იფხიზლა დარენ ბენტმა.

ჰარი რედნაპის ხანგრძლივი საფეხბურთო ცხოვრება კი გვიჩვენებს, რომ ქუდბედი კარგია, მაგრამ არსებობს სხვა, უფრო მიწიერი რაღაცაც, რაც ამ მწვრთნელს მოსდგამს. იმიტომ, რომ უბრალოდ შეუძლებელია, კაცს ასე გამსდიოდეს ის, რაც სწორედ იმწუთასაა საჭირო.

ერთი-ორჯერ მეგონა, რომ ჰარის ინგლისის ნაკრების მწვრთნელადაც დანიშნავდნენ, მაგრამ ის კანდიდატებშიც კი გაკვრით მოიხსენიებოდა ხოლმე: დიდი კლუბები არასდროს ჰყოლია, არც ჩემპიონობისთვის უბრძოლია და თასიც მხოლოდ გასულ სეზონს მოიგო „პორტსმუტთან“ ერთად.

ერთხელ მან იხუმრა, ისეთი კაცი ვარ, რომ ცოლსაც კი ფეხბურთზე ველაპარაკები გამუდმებითო.

მგონი, საქმეც ეს არის. როცა თავიდან ბოლომდე ფეხბურთის კაცი ხარ, თანაც ისე, რომ ერთხელაც არ დაფიქრებულხარ, ფეხბურთის გარეთ რა შეიძლება გქონდეს, ნამდვილად იქნები ისეთი, როგორიც ისაა.

ნეტავ ჩვენც გვყავდეს ასეთი ხალხი. თან თუ ქუდბედიც ზედ დაემატება, ხომ მთლად გადასარევი.

ამ კაცში მთავარი მგონი ისაა, რომ მისი იმედი აქვთ და ის კი ყველაფერს აკეთებს, რომ ეს იმედი არ გააცრუოს.

ოდესღაც, „საუთჰემპტონი“ რომ ვარდებოდა, ჰარის ჯიბეში პატარა თოჯინა ედო ხოლმე. თოჯინას ანგელოზის ფრთები ჰქონდა.

ჰოდა...

კი, ანგელოზებიც იქვე არიან.

თანაც, მისი უდიდებულესობა ძალიან ინგლისური ფეხბურთი. სხვა ფეხბურთი ჰარიმ არც იცის.

# რალფ რანგნიკი გაკვირვებულია


ვედად იბიშევიჩი (შუაში) ბუნდესლიგის მთავარმეგოლეა

**გერმანულ** ბუნდესლიგაში თამაშების მესამედი თითქმის მიილია და უკვე გამოჩნდნენ ის გუნდები, რომლებსაც ჩემპიონობისთვის ბრძოლა ძალუძთ.

„ჰოფენჰაიმი“ ის გუნდია, რომელმაც გასულ მატჩებში ყველაზე მეტი ქულა დააგროვა და, შესაბამისად, ბუნდესლიგას, სადაც წლეულს აღზევდა, ერთპიროვნულად ლიდერობს. გატანილი გოლების მაჩვენებელიც შთამბეჭდაი აქვს — 11 მატჩში 31 გოლი. გუნდის ლიდერს, თავდამსხმელ ვედად იბიშევიჩს უკვე 13 გოლი აქვს გატანილი და ბუნდესბომბარდირთა სიაში მეორეადგილოსან ჰელმესს 5 გოლით უსწრებს. გასულ ტურში მან დუბლი შეასრულა, რამაც განაპირობა კიდეც გუნდის გამარჯვება და გალიდერება.

„გამარჯვებამ ძალიან გაგვახარა, მაგრამ ამ ეტაპზე მთელი ყურადღება მომდევნო მატჩზე უნდა გადავიტანოთ“ — განაცხადა ბოსნიელმა ბომბარდირმა.

მომდევნო მატჩი კი „ჰოფენჰაიმმა“ ბერლინში უნდა გამართოს, სადაც გუნდის ფეხბურთელები „ჰერტას“ დამარცხებას და ზედიზედ მოგებული მატჩების რაოდენობის 5-მდე გაზრდას შეეცდებიან.

„ჩემპიონობზე ფიქრი ჯერ ადრეა. ჩვენ სანახაობრივ ფეხბურთს ვთამაშობთ და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზოგჯერ ეს ძალიან სახიფათოა“ — განაცხადა იან შინდელმაიზერმა.

გუნდის მთავარი მწვრთნელი რალფ რაგნგიკი კი ჟურნალისტთა სტატიებითაა გაკვირვებული. მას ის უკვირს, რომ პრესამ „ჰოფენჰაიმის“ კარგი თამაში შემთხვევითობას მიაწერა.

„თუ შევძელით და პირველ თერთმეტ ტურში ბევრი გუნდი დავამარცხეთ, მაშინ არ მესმის, რატომ ვერ შევძლებთ ასეთივე თამაშს მთელი სეზონის განმავლობაში?“ — თქვა გერმანელმა სპეციალისტმა.

**გაგა ლოგბჟანიძე**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ესეც შენი გუდმუნდსონი

**საშინელება** ის არის, რომ „ვესტ ჰემის“ მეპატრონეს, ისლანდიელ მილიონერ ბიორგოლფურ გუდმუნდსონს სამშობლოში ბიზნესი გაუკოტრდა. შესაბამისად, ზეწოლა, რომელსაც ის აქამდეც განიცდიდა, ახლა გაორმაგდა. გუდმუნდსონს ლონდონური კლუბის გაყიდვას ახლა უკვე კატეგორიულად სთხოვენ.

ფირმას, რომელიც ისლანდიელ საქმოსანს მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე გაუკოტრდა, SAMSON HOLDINGS ჰქვია და მისი კოლაპსის შემდეგ ძალიან საეჭვოა, გუდმუნდსონმა პრემიერლიგის გაუმაძღარი მუცლის ამოსაყორად საკმარისი თანხები გამოძებნოს.

გუდმუნდსონმა „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ რამდენიმე წლის წინ 85 მილიონ გირვანქად იყიდა და ამ თანხის გარდა კლუბს კიდევ 30 მილიონი დაახარჯა. დღეს მისი ქონება, რომელიც, რამდენადაც ცნობილია, 230 მილიონი გირვანქის ტოლია, გავერანების პირასაა. თურმე, ისლანდიური ბანკის, „Landsbanki“-ის გაკოტრების გამო ყველაზე მეტად სწორედ „ვესტ ჰემის“ მეპატრონეს უზარალია. ანკი, რაა გასაკვირი, როდესაც ბიორგოლფურ გუდმუნდსონი ამ ბანკის 45 პროცენტის მფლობელი ბრძანებულა?

გაკოტრდა ტურისტული კომპანია XL-იც, რომელიც ლონდონური კლუბის სპონსორი გახლდათ, ხოლო გუდმუნდსონის კიდევ ერთმა ფირმამ, Eimskip-მა XL-ს „სიკვდილის“ წინ 150 მილიონი გირვანქა ასესხა... ამას მოჰყვა დომინოს პრინციპი და ვაი, შენს „ვესტ ჰემს“.

საინტერესოა, რომ Landsbanki-ის გაკოტრების შემდეგ, „აპტონ პარკზე“ თავს იმშვიდებდნენ, ჩვენს გუდმუნდსონს იმდენი სხვადასხვა ბიზნესი აქვს, რომ ერთი რაღაც ბანკის წაქცევამ რა უნდა დააკლოსო, მაგრამ თანდათანობით საქმე სულ უფრო და უფრო ცუდად წავიდა და გაირკვა, რომ იმ ერთი ბანკის წაქცევა ბევრს ნიშნავს.

თუმცა, ყველაფერ ცუდს კარგი მხარეც ახლავს: „ვესტ ჰემის“ დღეში „მანჩესტერ იუნაიტედი“ ან „ლივერპული“ რომ იყოს, ანუ გუნდები, რომლებიც უცხოელმა მეპატრონეებმა ბანკიდან გამოტანილი კრედიტით იყიდეს, სხვა სიტუაცია იქნებოდა, გუდმუნდსონს კი თავისი კლუბი საკუთარი ჯიბის ფულით ჰქონდა ნაყიდი და, შესაბამისად, არანაირი ხლართები არ არსებობს — აღგება ის ჩვენი „ვესტ ჰემი“ და წავა თავის გზაზე. მყიდველიც, როგორც ამბობენ, ჩანს. ვიღაც უცხოელს სდომებია აპტონპარკელების შეძენა, თუმცა საქმეში ძალიან უშნოდ არის ჩარეული კარლოს ტევესის სატრანსფერო ინტრიგის 50 მილიონი, რომელსაც „შეფილდ იუნაიტედი“ ზარალის ანაზღაურების სახით ითხოვს.

**ბაკუნა ქედია**





კრიშტიანუ რონალდუ

# ბოდიში აუტის ხაზთან

**შვედმა** მსაჯმა მარტინ ჰანსენმა (რომელსაც მეტსახელად ანდერს ფრისკი შეარქვეს) ფაქტობრივად აღიარა, რომ სამშაბათს, „ენფილდ როუდზე“, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში, რომელშიც „ლივერპული“ მადრიდის „ატლეტიკოს“ მასპინძლობდა, წამატებული დროის მეხუთე წუთზე სტუმართა კარში პენალტი ტყუილად დანიშნა — „ატლეტიკო“ მაქსი როდრიგესის მიერ პირველ ტაიმში გატანილი გოლით 1:0-ს იგებდა და ჰანსენის პენალტი რომ არა, თავი ქუდში და ცხრილში სამი ქულა ჰქონდა. პენალტის დანიშვნის საბაბი მარიანო პერნიასა და სტივენ ჯერარდის ორთაბრძოლა გახლდათ, რომელზეც შინ დაბრუნებული და დასვენებული ჰანსენი კატეგორიულად ვეღარ ლაპარაკობს. შეგახსენებთ, რომ შვედ მსაჯს თამაში 1:1 რომ არ დაემთავრებინა, მადრიდელები 16 უძლიერეს შორის უკვე იქნებოდნენ.

ეპიზოდის შესახებ შვედმა არბიტრმა შვედეთში, ტელეკომპანია SVT-სთვის მიცემულ ინტერვიუში ილაპარაკა. დააკვირდით მის ტონს:

„იმ კუთხიდან, რომლიდანაც ჯერარდის და პერნიას ორთაბრძოლას მე ვუყურებდი, პენალტი აშკარა იყო, უეფას კანონების თანახმად კი, ამ მომენტის კომენტირების უფლება მე არ მაქვს“ — თქვა ლაინსმენმა.

ესპანური გუნდის დაზარალებული მცველი პერნია: „როდესაც პროტესტის ნიშნად თანამსაჯს მივვარდი, მან ბოდიში მომიხადა. იმ მომენტში ჯერ კიდევ იყო გადაწყვეტილების შეცვლის დრო და საშუალება, მაგრამ მსაჯმა ეს საშუალება არ გამოიყენა. ვიმეორებ, მსაჯმა სიტყვასიტყვით ასე მითხრა: sorry, sorry. ამის შემდეგ, აღარ ვიცი, რა ვიფიქრო. ეტყობა, უეფას ჩვენს წინააღმდეგ კამპანია აქვს გაჩაღებული. ჯერ იყო და შინ ერთი თამაშის გამართვა აგვიკრძალეს, მწვრთნელი მოედნის კიდიდან დაითხოვეს, ახლა კი მოგებული თამაში ფრედ გვიქციეს, რადგან არარსებული პენალტი გამოგვიგონეს. იმ ეპიზოდში ჯერარდი შემომახტა. დასასჯარიმებელი ის იყო“.

ახლა კი იმაზე, თუ რატომ შეარქვეს ჰანსენს ფრისკი. გეხსომებათ, ჰანსენის თანამემამულემ 2005 წელს „ბარსელონასთან“ შეხვედრაში მოედნიდან ჩელსელი დიდიე დროგბა გააძევა, რაც ლონდონელმა ფანებმა არ აპატიეს და ინტერნეტით მუქარის წერილები მიწერეს. ამ მიზეზის გამო ფრისკმა მსაჯობას თავი დაანება.

**ბაკუნა ქედია**



მარტინ ჰანსენი



ჯერარდისა და პერნიას შეჯახება

# ბიჭს ფული გამოუტანეთ

**ოღონდ** კრიშტიანუ რონალდუ ზაფხულში მადრიდის „რეალში“ არ გაექცეთ და, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობა მზადაა, პორტუგალიელი ვარსკვლავი პრემიერლიგის ყველა დროის ყველაზე დიდშემოსავლიან ფეხბურთელად აქციოს.

დღეის მდგომარეობა ასეთია: მოქმედი კონტრაქტის თანახმად, რონალდუს „მანჩესტერში“ კიდევ სამ წელიწადზე მეტი აქვს გასატარებელი და ამ ხნის განმავლობაში, კვირაში ერთხელ შინ 120 ათასი გირვანქა უნდა წაიღოს, თუმცა არსებობს ფიფას ერთი წესი, რომლის თანახმადაც მას შეუძლია, თავისი კონტრაქტი გამოისყიდოს და მომავალი სეზონიდან სადაც უნდა, იქ წავიდეს. შესაბამისად, „იუნაიტედი“ ვარსკვლავის მოხიბვლას და კვირაში 150 ათასი გირვანქის შეთავაზებას აპირებს.

ოლდტრეფორდელთა შეფმა, ალექს ფერგიუსონმა განაცხადა: „რონალდუს კონტრაქტის ამბავზე გადამწყვეტი მომავალი ზაფხული იქნება. ამ მომენტისთვის ის ხელშეკრულებით ჩვენთან კიდევ სამი წლით იქნება დაკავშირებული. რაც შეეხება თავის გამოსყიდვას, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ის კლუბია, რომლისგანაც თავისი კონტრაქტი არავის, არასდროს გამოუსყიდია და არა მგონია, ეს საკითხი ახლა დადგეს“.

და მაინც, მოდი, კონტრაქტის გამოსყიდვაზე ცოტა უფრო დაწვრილებით ვთქვათ. ფიფას წეს-კანონთა მე-17 მუხლის თანახმად, თუ ესა თუ ის ფეხბურთელი ამა თუ იმ კლუბს სამი წელიწადი ემსახურა, მას შეუძლია, თანხა, რომელიც კონტრაქტით დარჩენილი წლების განმავლობაში ხელფასად უნდა აეღო, ერთად გაისტუმროს და თავისუფალია. გამოდის, რომ კრიშტიანუ რონალდუს მომავალ ზაფხულზე 12 მილიონის გადახდისა და მადრიდისკენ გაქუსვლის საშუალება აქვს.

ისევ ფერგიუსონი: „რონალდუს „მანჩესტერიდან“ წასვლაზე ლაპარაკიც არ იქნება. „რეალის“ პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა გასულ ზაფხულს ვილაცებს პირობა მისცა, რომ კრიშტიანუს გადაიყვანდა. ეს სრული თავხედობა გახლდათ და მიხარია, რონალდუ ჩვენთან რომ დარჩა. დარტყმებს მომავალშიც ველით, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ მათ მოსაგერიებლად მზად ვართ“.

**ბაკუნა ქედია**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

## E ჯგუფი

**ოლბორგი 2:2 ვილიარეალი**
0:1 როსი (41), 1:1 კურტი (54), 1:2 ფრანკო (75), 2:2 დუე (81)
ოლბორგი: ზაზა, ბიოგელუნდი (ნილსენი 75), ოლფერსი, იაკობსენი, პედერსენი, აუგუსტინუსენი, ენევოლდსენი, დუე, იოჰანსონი, კაკა (რისგარდი 79), კურტი (საგანოვსკი 72)
მწვრთნელი: ალან კუნი
ვილიარეალი: დიეგო ლოპესი, ხავი ვენტა, გონსალო, გოდინი, კაპდევილა, კასორლა, სენა, ედმილსონი (მატი ფერნანდესი 82), პირესი (კანი 62), როსი (ფრანკო 65), იორენტე
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
გაფრთხილება: გოდინი, დუე, ფრანკო, კანი
მსაჯი: ბერტრან ლეიეკი (საფრანგეთი)
9 500 მაყურებელი

**სელტიკი 1:1 მანჩესტერი**
1:0 მაკდონალდი (13), 1:1 გიგზი (84)
სელტიკი: ბორუცი, ჰინკელი, კოლდუელი, მაკმანუსი, უილსონი, ჰარტლი, ს. ბრაუნი, რობსონი, მელონი (ოდი 76), მაკდონალდი (მაკჩინსონი 82), შერიდანი (დონატი 64)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
მანჩესტერი: ფოსტერი, რაფაელი (ევრა 66), ფერდინანდი, ვიდიჩი, ოში, კრიშტიანუ რონალდუ, ფლეტჩერი, კარიკი, ნანი (ბერბატოვი 46), ტევესი (რუნი 71), გიგზი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ნანი
მსაჯი: ტომ ჰენინგ იოვრებიო (ნორვეგია)
58 903 მაყურებელი

# ბევრი ენა გასახდელში



გორდონ სტრაჩანის ბიჭებმა ლომებივით იბრძოლეს

**„სელტიკმა“** ლიგაში პირველი გოლი გაიტანა და მეორე ქულა მიითვალა. გორდონ სტრაჩანმა თქვა, ფეხბურთელები ისე დაიქანცნენ, გასახდელში ენაგადმოგდებულები ლაპარაკობდნენო.

„მესამოცე წუთისთვის მთელი გუნდი არაქათგამოცლილი და თერთმეტივე ფეხბურთელი შესაცვლელი იყო — განაცხადა სტრაჩანმა — მაგრამ მე იმის გამოცნობას ვცდილობდი, ვინ უფრო მეტად დაიღალა.

მინდოდა, რომ ყველაზე გამოცდილი ფორვარდი სკოტ მაკდონალდი მოედანზე დარჩენილიყო და ბოლომდე ეთამაშა, თუმც მისი შეცვლა მაინც მომიწია. ამიტომაც გადავეწყვეთ სამ ცენტრალურ მცველზე და მაკდონალდის მაგივრად გამოუცდელი დარენ ოდი შევუშვი.

ბოლოს ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ ცოტა იღბალი რომ გვქონოდა, მეორე გოლსაც გავიტანდით.

ფრით კმაყოფილი ვარ. კარგად ვითამაშეთ გუნდთან, რომელიც ტექნიკურად მილიონჯერ გვჯობს. რაც უნდა იყოს, ჩემს ფეხბურთელებს საბრძოლო ჟინი არ დაეწუნებათ. ორი ქულა და მერვედფინალში გასვლის მცირე შანსი გვაქვს. მერწმუნეთ, ოპტიმალური შემადგენლობა რომ მყოლოდა, ბევრად უკეთ ვითამაშებდით“.

ალექს ფერგიუსონი: „ბოლოს როცა აქ ვითამაშეთ, შუნსუკე ნაკამურამ ფანტასტიკური გოლი გაგვიტანა და წავაგეთ. დღეს სკოტ მაკდონალდმა გაიბრწყინა და საუცხოო გოლი შეაგდო.

მეორე ტაიმში მასპინძლებს ვაჯობეთ და ფრე დავიმსახურეთ.

რა თქმა უნდა, მოგება მერჩივნა, მაგრამ მატჩის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე მარცხის წინაშე ვიდექით. მგონი, ეს ჩვენი დღე არ იყო, რადგან ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ.

მთლიანობაში, შედეგით კმაყოფილი და ბიჭების მადლობელი ვარ, ბოლომდე რომ იბრძოლეს.

მატჩამდე ვფიქრობდი, კარგი იქნება, თუ „სელტიკის“ ფანებს გავაჩუმებთ-მეთქი, მაგრამ მალე გატანილმა გოლმა ისინი უფრო შეაგულიანა და ერთი წამითაც არ გაჩერებულან. შედეგად, „სელტიკმა“ ბევრი იშრომა და მათი გატეხვა შეუძლებელი აღმოჩნდა.

უდიდესი ძალისხმევაა საჭირო იმისთვის, რომ ასეთი ქომაგებით დაქოქილ გუნდთან არ წააგო.

შეცვლაზე შესულმა დიმიტარ ბერბატოვმა მასპინძელ მცველებს ბევრი პრობლემა შეუქმნა, რადგან მისი ამოკეტვა იოლი არაა და ერთი კარგი მომენტიც ჰქონდა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:1 | 8 |
| ვილიარეალი | 4 | 2 | 2 | 0 | 9:5 | 8 |
| სელტიკი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:5 | 2 |
| ოლბორგი | 4 | 0 | 2 | 2 | 5:11 | 2 |

**V ტური. 25 ნოემბერი**
**ვილიარეალი — მანჩესტერი**
**ოლბორგი — სელტიკი**

## F ჯგუფი

**ფიორენტინა 1:1 ბაიერნი**
1:0 მუტუ (11), 1:1 ბოროვსკი (78)
ფიორენტინა: ფრეი, ძაური, დაინელი, გამბერინი, გობი, კუზმანოვიჩი (ოსვალდო 79), ფელიპე, მონტოლივო, შანტანა (ალმირონი 63), ჟილარდინო, მუტუ
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
ბაიერნი: რენზინგი, ოდო, ლუსიუ, დემიკელისი, ზე რობერტუ, ბოროვსკი, ვან ბომელი, შვაინშტაიგერი (კროოსი 79), რიბერი, კლოზე, პოდოლსკი (ოტლი 89)
მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი
გაფრთხილება: ბოროვსკი, მონტოლივო
მსაჯი: ალბერტო უნდიანო მალიენკო (ესპანეთი)
40 000 მაყურებელი

**ლიონი 2:0 სტიაუა**
1:0 ჟუნინიო (44), 2:0 რევეიერი (89)
ლიონი: ლორისი, რევეიერი, კრისი, ბუმსონგი, გროსო, ტულალანი, ჟუნინიო, მაკუნი, კეიტა (დელგადო 70), ედერსონი (კალსტრიომი 70), ბენზემა (პიკიონი 83)
მწვრთნელი: კლოდ პიუელი
სტიაუა: საპატა, ოგერარუ, გოინეა, გოიანი, მარინი, რედოი, ტიაგუ გომეში, სტანკუ (მორენო 59), ნიკოლიცე, სუკეი (სემედუ 46, არტურო 81), კაპეტანოსი
მწვრთნელი: დორინელ მუნტეანუ
გაფრთხილება: კრისი, კაპეტანოსი, სტანკუ, გოიანი, ჟუნინიო
მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)
30 243 მაყურებელი

# ახალი ხილის ბრალია



ტომ ბოროვსკიმ ბავარიელები მარცხისგან იხსნა

**ტიმ ბოროვსკიმ** ქულა გადაურჩინა „ბაიერნს“, მაგრამ იურგენ კლინსმანის გუნდმა მეორე ადგილზე ჩაინაცვლა.

„ვიცოდი, რომ რთული მატჩი გველოდა და ამიტომ ქულით კმაყოფილი ვარ — თქვა კლინსმანმა — „ფიორენტინას“ მოგება შეეძლო, მაგრამ მეორე ტაიმში ტემპს მოვუმატეთ და ფრე დავიმსახურეთ.

ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფრეა, რადგან „ფიორენტინასთან“ ხუთქულიანი სხვაობა შევინარჩუნეთ და მერვედფინალში გასვლის კარგი შანსი გვაქვს“.

ჩეზარე პრანდელი: „იღბალი ჩვენს მხარეს არ იყო და ბოროვსკიმ რომ გაიტანა, იმ მომენტში მცველებმაც ყურადღებით ვერ ითამაშეს, რადგან უკვე დაღლილები იყვნენ.

ძალიან საწყენია, სამი ქულა რომ ვერ ავიღეთ, რადგან 1:0-ზე, სულ მცირე, ორი საგოლე მომენტი გვქონდა. ჩემს ფეხბურთელებს გამოცდილება ჯერ კიდევ აკლიათ და შრომა უნდა განვაგრძოთ.

როცა დიდ კლუბებს ეთამაშები, როგორც კი ცოტა ხნით დაცვაში ჩადგები, უმალ შეგექმნება პრობლემები. თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობა გვქონდა და მეტოქეს თავისუფლად ბურთის გაგორების საშუალებას არ ვაძლევდით, მაგრამ დავალება ბოლომდე ვერ შევასრულეთ.

მთავარი მაინც ისაა, რომ მებრძოლი სულით და გამარჯვების წყურვილით გახვიდე მოედანზე. რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე მყავს გუნდში, რომლებისთვისაც ჩემპიონთა ლიგა ახალი ხილია და შესაძლოა, ცოტა ეშინია კიდეც სახელოვანი მეტოქეების. გამოცდილება და თავდაჯერებულობა სწორედ ასეთ მატჩებს მოაქვს“.

„ფიორენტინას“ პატრონმა ანდრეა დელა ვალემ უიღბლობაზე დაიჩივლა: „ჩემმა კლუბმა კვლავ იმაზე ნაკლები მიიღო, რასაც იმსახურებდა. ჩემპიონთა ლიგის ოთხივე მატჩში უპირატესობა ჩვენ გვქონდა და ძალიან დასანანია, რომ ჯერ ერთი თამაშიც ვერ მოვიგეთ.

ადრიან მუტუს გოლის მერე ორი-სამი მომენტი შევქმენით, მაგრამ იღბალმა გვიგანა. ახლა მთელი ყურადღება ჩემპიონატზე უნდა გადავიტანოთ“.

ადრიან მუტუ: „გულგატეხილი ვარ, რადგან „ბაიერნი“ დიდ წნეხში მოვაქციეთ და სამი ქულა მაინც ვერ ავიღეთ. გამოცდილება გვაკლია და მომავალ სეზონში თუ კვლავაც ჩემპიონთა ლიგაში ვიქნებით, „ბაიერნის“ დონის გუნდებს შინ დავამარცხებთ“.

„ლიონმა“ „სტიაუას“ მეორე მატჩიც მოუგო და ცხრილის თავში მოექცა.

„მოგება სასიამოვნოა, მაგრამ უფრო ის მახარებს, რომ ძალიან კარგად ვითამაშეთ — განაცხადა ფრანგთა მწვრთნელმა კლოდ პიუელმა — ჩემმა ფეხბუთელებმა ფანტასტიკური ფეხბურთი აჩვენეს“.

დორინელ მუნტეანუ: „ჩემი აზრით, თანაბარი გუნდების თამაში იყო. გოლები ტაიმების ბოლოს გაგვიტანეს და ვერ ვიტყვი, რომ მეტოქემ ტაქტიკურად გვაჯობა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:6 | 8 |
| ბაიერნი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2 | 8 |
| ფიორენტინა | 4 | 0 | 3 | 1 | 3:6 | 3 |
| სტიაუა | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |

**V ტური. 25 ნოემბერი**
**ბაიერნი — სტიაუა**
**ფიორენტინა — ლიონი**

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## G ჯგუფი

# არსენ ვენგერი: კარგად დააკვირდით!



**არსენალი 0:0 ფენერბაჰჩე**

**არსენალი:** ფაბიანსკი, ტურე, ჟურუ, სილვესტრი (სონგი 83), კლიში, რემსი (დიაბი 60), ფაბრეგასი, დენილსონი, ნასრი, ბენდტნერი (ველა 60), ვან პერსი
**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი
**ფენერბაჰჩე:** ვოლქან დემირელი, გიოქჰანი, ედუ ლუგანო, რობერტო კარლოსი (ვედერსონი 69), მალდონადო (ხოსიკო 68), სელჯუქი, ქაზიმი (ბილგინი 60), ულური, სემიჰი, გუისა
**მწვრთნელი:** ლუის არაგონესი
**გაფრთხილება:** სელჯუქი, ჟურუ, ლუგანო, ვედერსონი, ვან პერსი
**მსაჯი:** რობერტო როზეტი (იტალია)
60 003 მაყურებელი

**დინამო 1:2 პორტუ**

1:0 მილევსკი (21), 1:1 როლანდუ (69), 1:2 ლუჩო გონსალესი (90)
**დინამო:** ბოგუში, ბეტაუ, დიაქატე, მიხალიკი, ნესმაჩნი, ვუკოიევიჩი, გიოანე (ბანგურა 60), ერიომენკო, ელ ქადური, ალიევი, მილევსკი
**მწვრთნელი:** იური სიომინი
**პორტუ:** ელტონი, სეპუნარუ (პელე 68), როლანდუ, ბრუნუ ალვეში, პედრუ ემანუელი (ლინუ 78), ფერნანდუ, ლუჩო გონსალესი, რაულ მეირელეში, სექთიუი (მულკი 46), როდრიგესი, ლისანდრო
**მწვრთნელი:** ჟესუალდუ ფერეირა
**გაფრთხილება:** ელ ქადური, პედრუ ემანუელი, მულკი, როდრიგესი, ლუჩო გონსალესი, ლუჩო გონსალესი
**გაძევება:** ლუჩო გონსალესი (90)
**მსაჯი:** კონრად პლაუცი (ავსტრია)
16 000 მაყურებელი

**„არსენალმა“** ზედიზედ მესამე მატჩში ვერ იმარჯვა და არსენ ვენგერის უკმაყოფილების მიზეზიც ესაა. წინა ორში („ტოტენჰემთან“ და „სტოკთან“) გოლები მაინც გაიტანეს, „ფენერთან“ კი, რომელსაც „მეთოფეებმა“ ორი კვირის წინ 5:2 მოუგეს, გოლიც სანატრელი გაუხდათ.

„პირველ ტაიმი ოთხი ბურთის სხვაობით მაინც უნდა მოგვეგო, მაგრამ უამრავი მომენტიდან ერთიც ვერ გამოვიყენეთ. ცხადია, უკმაყოფილო ვარ — თქვა ფრანგმა მწვრთნელმა — რადგან მეორე ტაიმში მალევე დაღლა დაეტყოთ ბიჭებს და სწრაფად ველარ უტევდნენ. რაკი ჩვენ ვერ გავიტანეთ, იმას არ ნიშნავს, რომ მეტოქე გვჯობნიდა.

მატჩის ბოლო მესამედში „ფენერი“ დაცვაში იდგა, ჩემს ფეხბურთელებს კი ტემპი აკლდათ ამ დაცვის გადასალახად.

კარგია, რომ ისევ პირველ ადგილზე ვართ და ცუდია, რომ მოსაგები ვერ მოვიგეთ.

დააკვირდით ამ ტურში ინგლისური კლუბების შედეგებს. ერთმა („ჩელსი“) წააგო და სამმა ფრე ითამაშა. ეს იმის ბრალია, რომ წინა კვირაში სამ-სამი მატჩი ჰქონდათ პრემიერლიგაში და ჩემპიონთა ლიგისთვის ჯანი აღარ შერჩათ.

დღეს ჩემმა მცველებმა საქმეს თავი კარგად გაართვეს და მეტოქის ფორვარდებს დაბლა თუ მაღლა არაფერი დაუთმეს, ნახევარმცველები კი აშკარად დამძიმებულნი ჩანდნენ“.

ლუის არაგონესი: „ორი კვირისწინანდელი მატჩის ამ მატჩთან შედარებაც კი არ შეიძლება. სტამბოლში „არსენალზე“ მეტი მომენტი გვქონდა, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ მათ გამოიყენეს, ჩვენ კი ვერა.

დღეს მთლიანობაში კარგად ვითამაშეთ, თუმც კონტრშეტევებისას სიზუსტე გვაკლდა. მერვედფინალში გასვლა ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ ფეხბურთში შეუძლებელი არაფერია. მომდევნო ორი მატჩი უნდა მოვიგოთ, რადგან „ფენერბაჰჩე“ მუდამ მოსაგებად თამაშობს“.

კიევის „დინამომ“ პირველი ტაიმი მოუგო „პორტუს“, მაგრამ ორი კვირის წინანდელი ვერ გაიმეორა. პორტუგალიელებმა საშინაო მარცხისთვის რევანში აიღეს.

იური სიომინი: „დინამო“ ბოლო წუთებზე ქულებს რომ კარგავს, საგოლე მომენტების გამოუყენებლობის ბრალია. 1:1-ზე ბურთი ძელს მოვარტყით, რასაც მეტოქის კონტრშეტევა და ჩვენს კარში მეორე გოლი მოჰყვა. გარდა ამისა, დაღლილობის გამო ფეხბურთელების რეაქციაც სუსტდება. ლისანდრომ 50 მეტრზე მეტი იარა ბურთით და მცველებმა მას ხელი ვერ შეუშალეს.

სხვა მხრივ, რა თქმა უნდა, დიდი როლი ითამაშა „პორტუს“ გამოცდილებამ. მე ასეთი გამოცდილი მოთამაშეები არ მყავს. „დინამო“ 100 პროცენტით დაიხარჯა, მაგრამ არის მატჩები, როცა თავდაუზოგავად იბრძვი და მაინც ვერ იგებ. 65-ე წუთიდან მეტოქემ აშკარად მოუმატა შეტევაში და ასეთ დროს მცველების შეცდომებიც მატულობს“.

| 23:45 | 1051 | უოტერფორდი-შელბურნი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 23:30 | 1052 | ლონგფორდი-უექსფორდი | 1.90 | 3.25 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| | | ავსტრალია. I ლიგა | | | | | | |
| | | 7 ნოემბერი | | | | | | |
| 13:00 | 1046 | სიდნეი-უელინგტონი | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 13:00 | 1047 | ქუინსლენდი-მელბურნი | 2.75 | 3.20 | 2.45 | 1.47 | 1.29 | 1.38 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 11:00 | 1048 | გლორი-ნიუკასლი | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| | | იაპონია. J ლიგა | | | | | | |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 09:00 | 553 | ომია-კავასაკი | 3.25 | 3.20 | 2.00 | 1.61 | 1.23 | 1.23 |
| 09:00 | 554 | კაშივა-ნაგოია | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| 08:00 | 555 | იოკოჰამა-კიოტო | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 11:00 | 556 | ივატა-შიმიცუ | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 09:00 | 557 | ოსაკა-ტოკიო | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 09:00 | 558 | საპორო-ურავა | 6.50 | 4.00 | 1.40 | 2.47 | 1.15 | 1.03 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 11:00 | 559 | კაშიმა-ნიიგატა | 1.45 | 3.70 | 6.35 | 1.04 | 1.18 | 2.33 |
| 11:00 | 560 | ვერდი-კობე | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |
| 11:00 | 561 | ოიტა-ჩიბა | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| | | აშშ. MLS | | | | | | |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 563 | კოლამბუსი-კანზასი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 23:55 | 564 | ჩივასი-სოლტ ლეიკი | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 565 | ჰიუსტონი-ნიუ იორკი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| | | მექსიკა. კლაუსურა | | | | | | |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 566 | ტიგრესი-ტოლუკა | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 23:45 | 567 | ინდიოსი-კრუზ აზული | 2.70 | 3.10 | 2.30 | 1.44 | 1.24 | 1.32 |
| 23:45 | 568 | ატლანტე-ნეკახა | 1.55 | 3.50 | 5.40 | 1.07 | 1.20 | 2.12 |
| 23:45 | 569 | ატლასი-მორელია | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 23:45 | 570 | იაგუარესი-პაჩუკა | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 23:45 | 571 | სან ლუისი-სანტოსი | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 22:00 | 572 | პუებლა-გუადალახარა | 2.80 | 3.10 | 2.25 | 1.47 | 1.24 | 1.30 |
| 22:00 | 573 | პუმასი-ტეკოსი | 1.75 | 3.20 | 4.10 | 1.13 | 1.22 | 1.79 |
| 23:55 | 574 | ამერიკა-მონტერეი | 1.75 | 3.30 | 3.95 | 1.14 | 1.21 | 1.79 |
| | | არგენტინა. კლაუსურა | | | | | | |
| | | 7 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 576 | ბანფილდი-ნიუელსი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 23:45 | 578 | როსარიო-ლანუსი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 575 | გოდოი -არხენტინოსი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 22:10 | 579 | კოლონი-ტიგრე | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 23:55 | 580 | ველესი-ხიმნასია ლპ | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| 23:55 | 583 | ესტუდიანტესი-ინდეპენდიენტე | 1.85 | 3.20 | 3.95 | 1.17 | 1.25 | 1.76 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 577 | სან მარტინ-რასინგი | 2.00 | 3.20 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.61 |
| 23:55 | 581 | რივერ პლეიტი-ურაკანი | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 23:20 | 582 | არსენალი-ბოკა ხუნიორსი | 3.25 | 3.20 | 2.00 | 1.61 | 1.23 | 1.23 |
| 21:10 | 584 | სან ლორენსო-ხიმნასია ჟ | 1.40 | 3.70 | 7.75 | 1.01 | 1.18 | 2.50 |
| | | ბრაზილია. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 585 | ვასკო და გამა-სანტოსი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 23:55 | 587 | ფლუმინენსე-ატლეტიკო პრ | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 23:55 | 590 | პორტუგეზა-სან პაულუ | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| | | ურუგვაი. კლაუსურა | | | | | | |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 23:00 | 596 | სენტრალ-ტაკუარემბო | 2.15 | 3.25 | 2.95 | 1.29 | 1.24 | 1.54 |
| 23:00 | 601 | ნასიონალ-რამპლა | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 23:00 | 595 | პენიაროლი-ვილა ესპანიოლა | 1.35 | 4.00 | 8.25 | 1.00 | 1.16 | 2.69 |
| 23:00 | 597 | რივერ პლეიტი-ხუვენტუდი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 23:00 | 598 | დანუბიო-დეფენსორი | 2.25 | 3.25 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.48 |
| 23:00 | 599 | სერო-რასინგი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 23:00 | 600 | ლივერპული-უონდერერსი | 1.35 | 4.00 | 8.25 | 1.00 | 1.16 | 2.69 |
| 16:10 | 602 | ბელა ვისტა-სერო ლარგო | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| | | ინგლისი. FA CUP | | | | | | |
| | | 7 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 25 | ლიდსი-ნორთჰემპტონი | 1.55 | 3.40 | 6.00 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 17:00 | 26 | ჩესტერი-მილუოლი | 3.80 | 3.25 | 1.80 | 1.75 | 1.22 | 1.15 |
| 17:00 | 27 | ჩესტერფილდი-მენსფილდი | 1.60 | 3.40 | 5.55 | 1.08 | 1.24 | 2.10 |
| 18:00 | 28 | ბლით სპარტანსი-შრუსბერი | 5.50 | 3.40 | 1.55 | 2.10 | 1.20 | 1.06 |
| 18:00 | 29 | სატონი-ნოტსი | 4.35 | 3.40 | 1.70 | 1.90 | 1.22 | 1.13 |
| 19:00 | 30 | ჰარინგტონი-ტრანმერი | 3.80 | 3.20 | 1.85 | 1.73 | 1.24 | 1.17 |
| 19:00 | 31 | ბარნეტი-როჩდეილი | 2.60 | 3.25 | 2.35 | 1.44 | 1.23 | 1.36 |
| 19:00 | 32 | ბორნმუთი-როვერსი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 19:00 | 33 | ალდერშოტი-როთერჰემი | 2.45 | 3.40 | 2.45 | 1.42 | 1.22 | 1.42 |
| 19:00 | 34 | ბრაიტონი-ჰარტლპული | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 19:00 | 35 | ბური-ჯილინგემი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 19:00 | 36 | კარლაილი-გრეისი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 19:00 | 37 | ჩელტენჰემი-ოლდემი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 19:00 | 38 | კოლჩესტერი-ლეიტონი | 1.80 | 3.25 | 3.75 | 1.15 | 1.21 | 1.74 |
| 19:00 | 39 | ქროუ-ებსფლიტი | 1.50 | 3.40 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.17 |
| 19:00 | 50 | აშტონი-ექსეტერი | 6.50 | 3.60 | 1.45 | 2.31 | 1.18 | 1.03 |
| 19:00 | 51 | დარლინგტონი-დროილსდენი | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 19:00 | 52 | ჰარლოუ-მაკლსფილდი | 4.50 | 3.50 | 1.65 | 1.96 | 1.20 | 1.12 |
| 19:00 | 53 | ჰისტონი-სუინდონი | 3.50 | 3.20 | 1.95 | 1.67 | 1.25 | 1.21 |
| 19:00 | 54 | კეტერინგი-ლინკოლნი | 2.60 | 3.25 | 2.30 | 1.44 | 1.22 | 1.34 |
| 19:00 | 55 | ჰერეფორდი-დაგენჰემი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 19:00 | 56 | ჰადერსფილდი-პორტ ვეილი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 19:00 | 57 | კიდერმინსტერი-კემბრიჯი | 2.20 | 3.25 | 2.75 | 1.31 | 1.22 | 1.48 |
| 19:00 | 58 | ლესტერი-სტივენიჯი | 1.35 | 4.35 | 7.00 | 1.03 | 1.13 | 2.68 |
| 19:00 | 59 | ლუტონი-ალტრინჩემი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| 19:00 | 60 | დონსი-ბრედფორდი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 19:00 | 61 | მორკემბი-გრიმსბი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 19:00 | 62 | ოქსფორდი-დორჩესტერი | 1.40 | 3.75 | 7.00 | 1.01 | 1.16 | 2.44 |
| 19:00 | 63 | ტელფორდი-საუთენდი | 5.00 | 3.40 | 1.65 | 2.02 | 1.24 | 1.11 |
| 19:00 | 64 | უოლსოლი-სკანთორპი | 2.40 | 3.25 | 2.50 | 1.38 | 1.22 | 1.41 |
| 19:00 | 65 | იოვილი-სტოკპორტი | 2.40 | 3.25 | 2.50 | 1.38 | 1.22 | 1.41 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 18:00 | 110 | ჰორნჩერჩი-პეტერბორო | 7.00 | 3.75 | 1.40 | 2.44 | 1.16 | 1.01 |
| 18:00 | 111 | ჰავანტი-ბრენტფორდი | 3.75 | 3.25 | 1.80 | 1.74 | 1.21 | 1.15 |
| 19:00 | 112 | თიმ ბათი-ფორესტ გრინი | 2.40 | 3.25 | 2.50 | 1.38 | 1.22 | 1.41 |
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 113 | ისტბორნი-ბაროუ | 2.20 | 3.25 | 2.75 | 1.31 | 1.22 | 1.48 |
| [illegible] | 114 | [illegible]-ბრაკლი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| [illegible] | 115 | [illegible]-ფლიტვუდი | 3.75 | 3.20 | 1.85 | 1.72 | 1.23 | 1.17 |
| | 116 | [illegible]ტონი-ბერი თაუნი | 1.50 | 3.40 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.17 |
| 19:00 | 117 | [illegible] | 1.25 | 5.00 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 3.07 |
| 23:45 | 118 | უიმბლდონი-უიკომბი | 3.75 | 3.20 | 1.85 | 1.72 | 1.23 | 1.17 |
| | | ამერიკული ფეხბურთი | | | | | | |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 22:00 | 1034 | მინესოტა-პაკერსი | 1.70 | 1.90 | | | | |
| 22:00 | 1035 | მაიამი-სიეტლი | 1.25 | 3.50 | | | | |
| 22:00 | 1036 | ნიუ იორკი -სტ ლუისი | 1.20 | 3.80 | | | | |
| 22:00 | 1037 | ნიუ ინგლანდი-ბუფალო | 1.45 | 2.40 | | | | |
| 22:00 | 1038 | ჩიკაგო-ტიტანსი | 2.00 | 1.60 | | | | |
| 22:00 | 1039 | ატლანტა-ნიუ ორლეანი | 1.70 | 1.90 | | | | |
| 22:00 | 1040 | ჰიუსტონი-ბალტიმორი | 1.70 | 1.90 | | | | |
| 22:00 | 1041 | დეტროიტი-იაგუარსი | 3.20 | 1.25 | | | | |
| 23:55 | 1042 | ოკლანდი-კაროლინა | 4.20 | 1.20 | | | | |
| 23:55 | 1043 | სან დიეგო-კანზასი | 1.10 | 6.50 | | | | |
| 23:55 | 1044 | ფილადელფია-გიანტსი | 1.60 | 2.10 | | | | |
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 1045 | არიზონა-სან ფრანცისკო | 1.20 | 4.20 | | | | |
| | | ნორვეგია. თასი | | | | | | |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 16:15 | 1095 | ვოლერენგა-სტაბეკი | 4.00 | 3.30 | 1.80 | 1.80 | 1.24 | 1.16 |
| | | შერეული | | | | | | |
| | | 7 ნოემბერი | | | | | | |
| 16:00 | 1098 | ხლივენი-ლოკომოტივი სოფ(ბულ) | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 22:00 | 1106 | უიპეშტი-დიოში(უნგ) | 1.50 | 3.60 | 5.65 | 1.05 | 1.18 | 2.19 |
| 19:00 | 1108 | ბუზაუ-კრაიოვა(რუმ) | 3.40 | 3.20 | 1.95 | 1.64 | 1.23 | 1.21 |
| 22:30 | 1109 | უნირეა-ოტელული(რუმ) | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 20:00 | 1119 | ხარკოვი-დნეპრი(უკრ) | 4.60 | 3.20 | 1.70 | 1.88 | 1.24 | 1.11 |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 16:30 | 1096 | სარაევო-ჟელეზნიჩარი(ბოს) | 1.25 | 5.20 | 6.50 | 1.00 | 1.04 | 2.88 |
| 16:30 | 1097 | ტრავნიკი-მოდრიცა(ბოს) | 1.50 | 4.60 | 3.80 | 1.13 | 1.07 | 2.08 |
| 16:30 | 1099 | მინიორ პერნიკი-ბოტევი(ბულ) | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 16:30 | 1100 | ცსკა სოფია-ჩერნო მორე(ბულ) | 1.45 | 3.60 | 5.85 | 1.03 | 1.16 | 2.22 |
| 16:30 | 1101 | პლოვდივი-მონტანა(ბულ) | 1.80 | 3.20 | 3.85 | 1.15 | 1.22 | 1.74 |
| 21:00 | 1103 | ლარნაკა-ლიმასოლი(კვპ) | 2.75 | 2.90 | 2.25 | 1.41 | 1.23 | 1.26 |
| 15:00 | 1105 | ტამპერე-კალევი(ესტ) | 1.85 | 3.80 | 3.00 | 1.24 | 1.14 | 1.67 |
| 21:00 | 1107 | კაპოშვარი-ვაშაში(უნგ) | 2.50 | 3.00 | 2.40 | 1.36 | 1.22 | 1.33 |
| 16:00 | 1110 | გაზ მეტანი-პოლი იასი(რუმ) | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 22:30 | 1111 | ტიმიშოარა-დინამო ბუქ(რუმ) | 2.35 | 3.00 | 2.65 | 1.31 | 1.24 | 1.40 |
| 16:30 | 1115 | ბანატი-პარტიზანი(სერბ) | 8.00 | 4.40 | 1.27 | 2.83 | 1.09 | 1.00 |
| 16:30 | 1116 | ჰაიდუკი-ნაპრედაკი(სერბ) | 1.60 | 3.30 | 5.00 | 1.07 | 1.21 | 1.98 |
| 16:30 | 1117 | იაგოდინა-ოფკ(სერბ) | 2.15 | 2.80 | 3.30 | 1.21 | 1.30 | 1.51 |
| 16:30 | 1118 | ჩუკარიჩკი-ბორაცი(სერბ) | 2.00 | 2.80 | 3.80 | 1.16 | 1.31 | 1.61 |
| 15:00 | 1120 | ზარია-ილიჩევეცი(უკრ) | 1.75 | 3.00 | 4.80 | 1.10 | 1.28 | 1.84 |
| 17:00 | 1121 | კარპატი-არსენალი კ(უკრ) | 2.50 | 2.80 | 2.85 | 1.32 | 1.33 | 1.41 |
| 19:00 | 1122 | ტავრია-შახტარი(უკრ) | 7.20 | 4.10 | 1.35 | 2.61 | 1.13 | 1.01 |
| 21:00 | 1123 | მეტალურგი დ-მეტალურგი ზ(უკრ) | 1.70 | 3.00 | 4.85 | 1.08 | 1.25 | 1.85 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 16:00 | 1102 | სპარტაკ ვარნა-ლევსკი(ბულ) | 5.40 | 3.40 | 1.55 | 2.08 | 1.20 | 1.06 |
| 20:00 | 1104 | პარალიმნი-ანორთოსისი(კვპ) | 5.20 | 3.40 | 1.55 | 2.05 | 1.19 | 1.06 |
| 16:00 | 1112 | ბრაშოვი-კლუჟი(რუმ) | 3.10 | 3.00 | 2.15 | 1.52 | 1.26 | 1.25 |
| 21:00 | 1113 | ოტოპენი-ვასლუი(რუმ) | 2.70 | 3.00 | 2.40 | 1.42 | 1.27 | 1.33 |
| 23:30 | 1114 | რაპიდი-სტიაუა(რუმ) | 2.50 | 3.00 | 2.65 | 1.36 | 1.28 | 1.40 |
| 18:00 | 1124 | ჩერნომორეცი-ვორსკლა(უკრ) | 2.35 | 2.90 | 2.90 | 1.29 | 1.29 | 1.45 |
| 19:00 | 1125 | კრივბასი-მეტალისტი(უკრ) | 4.70 | 3.00 | 1.75 | 1.83 | 1.27 | 1.10 |
| 20:00 | 1126 | დინამო კ-ლვოვი(უკრ) | 1.15 | 6.10 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.04 |
| | | ჰოკეი. NHL | | | | | | |
| | | 7 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 660 | კაროლინა-ოტავა | 2.20 | 4.00 | 2.30 | 1.41 | 1.12 | 1.46 |
| 23:55 | 661 | კოლუმბუსი-მონრეალი | 2.50 | 4.00 | 2.00 | 1.53 | 1.11 | 1.33 |
| 23:55 | 662 | ბუფალო-ატლანტა | 1.60 | 4.10 | 3.35 | 1.15 | 1.08 | 1.84 |
| 23:55 | 663 | ანაჰაიმი-დალასი | 1.95 | 4.00 | 2.50 | 1.31 | 1.09 | 1.53 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | კალათბურთი. იტალია | | | | | | |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 755 | უდინე-რომა | 3.00 | 12.00 | 1.35 | 2.40 | 1.00 | 1.21 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 753 | კ ბოლონია-აველინო | 1.30 | 12.00 | 3.30 | 1.17 | 1.00 | 2.58 |
| 21:15 | 754 | მონტეგრანარო-ბიელა | 1.35 | 12.00 | 3.20 | 1.21 | 1.00 | 2.51 |
| 21:15 | 756 | ფერარა-მილანი | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| 21:15 | 757 | კასერტა-ხავოლინი | 1.85 | 12.00 | 1.90 | 1.60 | 1.00 | 1.64 |
| 21:15 | 758 | კანტუ-ტერამო | 1.45 | 12.00 | 2.60 | 1.29 | 1.00 | [illegible] |
| 15:00 | 759 | სიენა-ბოლონია | 1.05 | 12.00 | 8.00 | 1.00 | 1.00 | 4.80 |
| 21:15 | 760 | რიეტი-ბენეტონი | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| | | კალათბურთი. ესპანეთი | | | | | | |
| | | 7 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 762 | ვალენსია-გრანადა | 1.30 | 12.00 | 3.00 | 1.17 | 1.00 | 2.40 |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 23:00 | 764 | სარაგოსა-მანრესა | 1.70 | 12.00 | 1.90 | 1.48 | 1.00 | 1.64 |
| 23:00 | 768 | ხუვენტუდი-რეალი | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 15:30 | 761 | მურსია-ბრუგსა | 1.70 | 12.00 | 1.90 | 1.48 | 1.00 | 1.64 |
| 15:30 | 763 | აუნკაბალე-უნიკახა | 1.90 | 12.00 | 1.70 | 1.64 | 1.00 | 1.48 |
| 15:30 | 765 | ფუენლაბრადა-მენორკა | 1.45 | 12.00 | 2.50 | 1.29 | 1.00 | 2.06 |
| 15:30 | 766 | ბარსელონა-ესტუდიანტესი | 1.10 | 12.00 | 5.50 | 1.00 | 1.00 | 3.77 |
| 15:30 | 767 | ბილბაო-სან ფერნანდო | 1.30 | 12.00 | 3.00 | 1.17 | 1.00 | 2.40 |
| | | კალათბურთი. საბერძნეთი | | | | | | |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 770 | ლარისა-არისი | 2.20 | 12.00 | 1.45 | 1.85 | 1.00 | 1.29 |
| 21:00 | 771 | მარუსი-ლარისისი | 1.10 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| 19:00 | 773 | პანათინაიკოსი-ტრიკალა | 1.01 | 12.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 5.45 |
| 20:00 | 774 | აეკ-პანელინიოსი | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 769 | პაოკ-ეგალეო | 1.12 | 12.00 | 4.50 | 1.02 | 1.00 | 3.27 |
| 19:00 | 772 | კოლოსოსი-პანიონიოსი | 2.10 | 12.00 | 1.50 | 1.78 | 1.00 | 1.33 |
| 19:00 | 775 | კავალა-ოლიმპიაკოსი | 8.00 | 12.00 | 1.01 | 4.80 | 1.00 | 1.00 |
| | | კალათბურთი. საფრანგეთი | | | | | | |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 23:00 | 788 | ლე ავრი-როანი | 1.90 | 12.00 | 1.70 | 1.64 | 1.00 | 1.48 |
| 23:00 | 789 | დიჟონი-ლე მანი | 2.30 | 12.00 | 1.55 | 1.93 | 1.00 | 1.37 |
| 23:00 | 790 | ენტენტე-გრაველინი | 1.40 | 12.00 | 2.65 | 1.25 | 1.00 | 2.17 |
| 23:00 | 791 | შოლე-ნანსი | 1.95 | 12.00 | 1.70 | 1.67 | 1.00 | 1.48 |
| 23:00 | 792 | ტულონი-რუენი | 1.20 | 12.00 | 3.80 | 1.09 | 1.00 | 2.88 |
| 23:00 | 793 | ვილერბანი-შალონი | 1.20 | 12.00 | 3.90 | 1.09 | 1.00 | 2.94 |
| 23:00 | 794 | ბესანსონი-სტრასბური | 1.80 | 12.00 | 1.90 | 1.56 | 1.00 | 1.64 |
| 23:00 | 795 | ორტეზი-ვიში | 1.35 | 12.00 | 3.10 | 1.21 | 1.00 | 2.46 |
| | | კალათბურთი. გერმანია | | | | | | |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 21:30 | 796 | ხაილაინერსი-ტრიერი | 1.40 | 12.00 | 2.80 | 1.25 | 1.00 | 2.27 |
| 23:00 | 797 | ოლდენბურგი-ნორდლინგენი | 1.20 | 12.00 | 4.30 | 1.09 | 1.00 | 3.16 |
| 23:00 | 798 | ერტლანდი-ლუდვიგსბურგი | 1.30 | 12.00 | 3.30 | 1.17 | 1.00 | 2.58 |
| 23:00 | 799 | ეხენი-გეტინგენი | 1.80 | 12.00 | 1.80 | 1.56 | 1.00 | 1.56 |
| 22:30 | 800 | ბონი-ულმი | 1.45 | 12.00 | 2.70 | 1.29 | 1.00 | 2.20 |
| 22:00 | 802 | ბრაუნშვაიგი-ტუბინგენი | 1.55 | 12.00 | 2.40 | 1.37 | 1.00 | 2.00 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 20:00 | 801 | კიოლნი-ახბარენი | 1.50 | 12.00 | 2.50 | 1.33 | 1.00 | 2.06 |
| 20:00 | 804 | დიუსელდორფი-ბამბერგი | 2.00 | 12.00 | 1.60 | 1.71 | 1.00 | 1.41 |
| | | ხელბურთი. კაცები ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 18:00 | 808 | ჰამბურგი-ცელიე | 3.60 | 11.00 | 1.30 | 2.71 | 1.00 | 1.16 |
| 23:00 | 809 | პორტლანდი-ჩეხოვსკიე | 1.25 | 10.00 | 4.55 | 1.11 | 1.00 | 3.12 |
| 20:00 | 810 | მეტალურგი-ბარსელონა | 10.00 | 12.00 | 1.05 | 5.45 | 1.00 | 1.00 |
| 20:00 | 811 | ვესპრემი-ზაპოროჟიე | 1.01 | 15.00 | 14.00 | 1.00 | 1.00 | 7.24 |
| 20:30 | 812 | სარაევო-სიუდად რეალი | 12.00 | 15.00 | 1.02 | 6.66 | 1.00 | 1.00 |
| 20:45 | 813 | ვისლა-კროაცია | 12.00 | 15.00 | 1.02 | 6.66 | 1.00 | 1.00 |
| 20:45 | 814 | კოპერი-სტიაუა | 1.30 | 10.00 | 3.50 | 1.15 | 1.00 | 2.59 |
| 23:30 | 816 | პაუკარი-ფლენსბურგი | 7.20 | 12.00 | 1.10 | 4.50 | 1.00 | 1.00 |
| 18:00 | 936 | ჰამბურგ+3.5-ცელიე-3.5 | 1.80 | 1.60 | | | | |
| 18:00 | 937 | ჰამბურგი-ცელიე(წ/კ) | 1.85 | 1.85 | | | | |
| 23:00 | 938 | პორტლანდი-3.5-ჩეხოვსკიე+3.5 | 1.60 | 1.80 | | | | |
| 23:00 | 939 | პორტლანდი-ჩეხოვსკიე(წ/კ) | 1.85 | 1.85 | | | | |
| 20:45 | 940 | კოპერი-3.5-სტიაუა+3.5 | 1.60 | 1.80 | | | | |
| 20:45 | 941 | კოპერი-სტიაუა(წ/კ) | 1.85 | 1.85 | | | | |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 18:50 | 805 | ხვენდბორგი-დუკასი | 1.01 | 15.00 | 13.00 | 1.00 | 1.00 | 6.96 |
| 20:00 | 806 | შამბერი-გრანიტასი | 1.01 | 15.00 | 14.00 | 1.00 | 1.00 | 7.24 |
| 18:30 | 817 | ამიციტია-მონპელიე | 3.10 | 10.00 | 1.42 | 2.36 | 1.00 | 1.24 |
| 20:30 | 818 | ლიოვენი-ხედედი | 1.02 | 15.00 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 6.66 |
| 21:00 | 819 | ადემარი-ბრეგენცი | 1.01 | 15.00 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 6.66 |
| 22:00 | 820 | ცრ.ზვეზდა-პრეშოვი | 1.60 | 9.00 | 2.50 | 1.35 | 1.00 | 1.95 |
| 18:30 | 942 | ამიციტია+2.5-მონპელიე-2.5 | 1.60 | 1.80 | | | | |
| 18:30 | 943 | ამიციტია-მონპელიე(წ/კ) | 1.85 | 1.85 | | | | |
| 22:00 | 944 | ცრ.ზვეზდა-1.5-პრეშოვი+1.5 | 1.70 | 1.90 | | | | |
| 22:00 | 945 | ცრ.ზვეზდა-პრეშოვი(წ/კ) | 1.85 | 1.85 | | | | |
| | | ხელბურთი. კაცები ავსტრიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 21:00 | 833 | შვაცი-გენსერნდორფი | 1.02 | 12.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 5.45 |
| 22:00 | 834 | კრემსი-ინსბრუკი | 1.30 | 9.50 | 3.50 | 1.14 | 1.00 | 2.55 |
| 22:00 | 836 | ალპლა-ლინცი | 1.02 | 12.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 5.45 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 21:00 | 837 | ტულნი-ლეობენი | 1.25 | 10.00 | 3.55 | 1.11 | 1.00 | 2.61 |
| | | ხელბურთი. კაცები გერმანიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 18:00 | 840 | ნორდჰორნი-ჰამბურგი | 2.00 | 8.00 | 1.90 | 1.60 | 1.00 | 1.53 |
| 22:00 | 842 | ბალინგენი-მაგდებურგი | 3.60 | 10.00 | 1.25 | 2.64 | 1.00 | 1.11 |
| 18:00 | 843 | შტრალზუნდი-ვეტცლარი | 2.00 | 8.00 | 1.90 | 1.60 | 1.00 | 1.53 |
| 22:00 | 844 | გიოპინგენი-ფუქსე | 1.25 | 10.00 | 3.80 | 1.11 | 1.00 | 2.75 |
| 18:00 | 847 | მინდენი-დორმაგენი | 1.45 | 9.00 | 3.00 | 1.24 | 1.00 | 2.25 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 18:00 | 845 | კილი-ლემგო | 1.12 | 12.00 | 6.00 | 1.02 | 1.00 | 4.00 |
| 20:00 | 846 | გუმერსბახი-ესენი | 1.02 | 14.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 5.83 |
| | | ხელბურთი. კაცები ესპანეთის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 22:00 | 848 | არატე-არაგონი | 2.50 | 9.00 | 1.50 | 1.95 | 1.00 | 1.28 |
| 22:00 | 849 | ალმერია-ტორევიეხა | 3.20 | 9.00 | 1.40 | 2.36 | 1.00 | 1.21 |
| 20:00 | 850 | ვალიადოლიდი-პილოტესი | 1.17 | 11.00 | 5.10 | 1.05 | 1.00 | 3.48 |
| 23:00 | 851 | ტეუკრო-ალკობენდასი | 1.07 | 12.00 | 8.50 | 1.00 | 1.00 | 4.97 |
| 21:30 | 854 | გრანოლიერსი-კუენკა | 1.03 | 12.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 5.45 |
| | | ხელბურთი. კაცები საფრანგეთის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 7 ნოემბერი | | | | | | |
| 23:30 | 862 | სტ.რაფაელი-ივრი | 2.70 | 9.50 | 1.45 | 2.10 | 1.00 | 1.25 |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 23:00 | 857 | კრეტეი-ტრემბლაი | 1.60 | 8.50 | 2.40 | 1.34 | 1.00 | 1.87 |
| 23:00 | 858 | ისტრი-დუნკერკი | 4.50 | 10.00 | 1.20 | 3.10 | 1.00 | 1.07 |
| 23:00 | 861 | ნიმი-ორილაკი | 1.25 | 8.50 | 4.00 | 1.08 | 1.00 | 2.72 |
| | | ხელბურთი. ქალები ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 7 ნოემბერი | | | | | | |
| 18:30 | 1008 | ლადა-ვილცეა | 2.00 | 8.50 | 1.80 | 1.61 | 1.00 | 1.48 |
| 21:30 | 1009 | ჰიპო-ბუდუჩნოსტი | 1.10 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 17:20 | 1010 | ვიბორგი-ნიურნბერგი | 1.01 | 12.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 5.45 |
| 19:30 | 1011 | ელდა-კოპენჰაგენი | 3.50 | 10.00 | 1.25 | 2.59 | 1.00 | 1.11 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 15:00 | 1012 | ზვეზდა-კომეტალი | 1.01 | 12.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 5.45 |
| 18:45 | 1013 | ეტო-ბორდისი | 1.25 | 10.00 | 3.30 | 1.11 | 1.00 | 2.48 |
| 20:45 | 1014 | ლუბლიანა-მეცი | 1.02 | 10.00 | 8.50 | 1.00 | 1.00 | 4.59 |
| 21:00 | 1015 | ლარვიკი-პოდრავკა | 1.10 | 12.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 4.00 |
| | | ჰანდიკაპი | | | | | | |
| | 25174 | კიოლნი-ჰანოვერი 1:0 | 1.30 | 4.60 | 7.10 | | | |
| | 26174 | კიოლნი-ჰანოვერი 0:1 | 4.30 | 3.80 | 1.60 | | | |

# ფინალისტმა ფინალისტის ტოლსწორობა აღიარა



გუშინდელ „სარბიელში“ საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის ფინალში გასული „ლელოს“ მთავარი მწვრთნელის ლევან მაისაშვილის ინტერვიუ შემოგთავაზეთ და მეტნაკლებად ჩავიხედეთ „ლელოს“ წინასაფინალო მზადების პერიპეტიებში. ამჯერად მეორე ფინალისტის, „ლოკომოტივის“ მწვრთნელ თემურ ბენდიაშვილთან ინტერვიუს გთავაზობთ...

— რას გვეტყვით მომავალი ფინალის შესახებ? როგორ სანახაობას პირდებით გულშემატკივარს?

— აბა, რა გითხრათ, ჯერჯერობით მხოლოდ თავგამოდებით ვვარჯიშობთ და ვემზადებით. ჩემი მორაგბეების განწყობა ვიცი და გარწმუნებთ, ისინი თავს არ დაზოგავენ. უკომპრომისო ბრძოლა იქნება და შესაბამისად, სანახაობრივი მხარე არ დაზარალდება. თან ფრანგი იმსაჯებს და სალაპარაკო და საპრეტენზიო აღარავის ექნება.

— ესე იგი, თქვენ კმაყოფილი ხართ იმით, რომ ფინალს ფრანგი განსჯის?

— რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. ვიცი, რომ კვალიფიციური მსაჯია. მეორეც, მოედანზე კამათი ნაკლებად იქნება. ისე არ გამიგოთ, თითქოს ფრანგები შეცდომას არ უშვებდნენ, მაგრამ იმედია, ფინალში მსაჯი ნაკლებად შეცდება.

— ლევან მაისაშვილს ვესაუბრეთ და გვითხრა, ნახევარფინალში მოგების მიუხედავად, საფინალოდ „ლოკომოტივს“ „ლელოსთან“ უპირატესობა არ აქვს და გამარჯვებულის ფსიქოლოგიაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტიაო... რას იტყვით მოსაზრების თაობაზე?

— ლევანს ვეთანხმები. ფინალში იქამდე ჩატარებული ყველა შეხვედრა უნდა დავივიწყოთ და მხოლოდ კონკრეტულ ორთაბრძოლაზე ვიფიქროთ.

— ტრავმირებულები თუ გყავთ გუნდში?

— რამდენიმე მორაგბეს მცირე ტრავმა აწუხებს. მეტ-ნაკლებად სერიოზულია გუჯაბიძისა და წეროძის ტრავმები, მაგრამ, ზოგადად, მდგომარეობა ნორმალურია, განწყობა კი საბრძოლო.

**ზურაბ მიგრიაული**



# მაკა ჩახნაშვილმა ერთი-ორად მოიგო

**გერმანიის** ქალაქ ისმანინგში ორ ფრონტზე დაუმარცხებლად თამაშობს ქართველი ჩოგბურთელი მაკა ჩახნაშვილი.

მაკა ერთეულთა გათამაშებაში მერვედფინალში გავიდა, ხოლო წყვილთა შეჯიბრში მეოთხედფინალს უწია.

პირადში ქართველმა მეჩოგნემ რუსი ივანოვა გაჭირვებით, მაგრამ მაინც დაამარცხა სამ სეტში — 3:6 6:4 6:4. მაკა მერვედფინალში ბრიტანელ ჩოგბურთელს, ტურნირის მე-7 ნომერ ელენა ბალტაჩას შეერკინება. ცნობისთვის, ელენა ბალტაჩა 80-იანი წლების კიევის „დინამოს“ ვარსკვლავის, სერგეი ბალტაჩას ქალიშვილია.



წყვილთა ტურნირში ჩახნაშვილისა და უკრაინელი ბეიგერციმერის დუეტმა ავსტრიელებს — მაირისა და მესბერგერს ორ სეტში მოუგო — 6:2 6:3. მეოთხედფინალში ქართულ-უკრაინული ალიანსი სლოვენიურ მაერიჩი-ზეჩპესკიჩის დუეტს დაუპირისპირდება.

გერმანული ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათასი აშშ დოლარია.

აშშ-ში, ქალაქ ობორნში დაწყებულ 50 000-დოლარიან ტურნირზე კი ქართველი ანა ტატიშვილისთვის ერთეულთა შეჯიბრის პირველი ბარიერი გადაულახავი აღმოჩნდა. ტატიშვილმა მატჩი მასპინძელ ანჯელინა ჰეინსთან, თავგამოდებული ბრძოლის მიუხედავად, მაინც დათმო. სამი სეტის ჯამში ანამ 5:7 6:3 3:6 წააგო.

ამავე ტურნირზე ტატიშვილისა და მასპინძელი ბრენგლეს ტანდემი პირველ ნომრად განთესილ კოპსიჯოუნსის წყვილს შეხვდება.

**ზურაბ მიგრიაული**



# ყაიმიანი შვიდი



ბაადურ ჯობავა

**ბარსელონაში** მიმდინარე საჭადრაკო ტურნირზე ბაადურ ჯობავა მე-7 ტურში კუბელ ფიდელ ხიმენეს კორალესს დაუზავდა და ახლა 4 ქულა აქვს. ჯობავა კუბელ ოსტატთან შავი ფიგურებით იყო. ჩვენებური ტურნირის ლიდერებს რუს ალექსეი დრეევსა და ბულგარელ კირილ გიორგიევს ერთი ქულით ჩამორჩება. აღსანიშნავია, რომ ჯობავამ დრეევთანაც და გიორგიევთანაც უკვე ითამაშა და ორივესთან წააგო. ტურნირზე კიდევ ორი ტურია დარჩენილი. ქართველი მოჭადრაკე მე-8 ტურში მსოფლიოს ექსჩემპიონ ბულგარელ ანტუანეტა სტეფანოვას შეხვდება, დასკვნით ტურში კი აშშ-ის წარმომადგენელ ბორის გულკოს გაეჯიბრება.

ბარსელონური ტურნირის გამარჯვებული 1500 ევროს მიიღებს. მე-2 და მე-3 ადგილებზე გასულებს, შესაბამისად, 1200 და ათასი ევრო ერგებათ.

**ზურაბ მიგრიაული**





გიორგი ცინცაძე

# ზაზა ქორებს ვერ შეექცულა

ბოლო პერიოდში ტარტუს „როკისა“ და „ატლანტა ჰოუქსის“ მოგებებზე ვწერთ. ეს ორი გუნდი კარგად ათამაშდა, რაც შესაბამისად, შედეგებზეც აისახა. „ქორებმა“ ნბა-ში ისე დაიწყეს სეზონი, როგორც მათგან ამას არავინ ელოდა, „როკმა“ კი ბალტიის თასზე ზედიზედ მოგებული თამაშების შემდეგ სატურნირო ცხრილის სათავეში აინაცვლა.

**ატლანტა 87:79 ნიუ ორლეანი**

ჯორჯიელებმა ნბა-ს რეგულარულ ჩემპიონატში წლევანდელი გამოსვლა ზედიზედ სამი გამარჯვებით დაიწყეს. ასეთ რამეს ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე. მაიკ ვუდსონის შეგირდები საკმაოდ კარგად გამოიყურებიან. ახლა მთავარია, მათ სტაბილურობის შენარჩუნება მოახერხონ.

გუშინდელ შეხვედრაში ზაზა ფაჩულიას თავი არაფრით გამოუჩენია. ამ სეზონში მან პირველად ვერ შეძლო ქულის აღება, არადა, 16 წუთი გაატარა მოედანზე.

თუმც მთავარი მაინც მოგებაა, რაშიც ჩვეულებისამებრ დიდი როლი შეასრულა ატლანტელთა ლიდერმა ჯო ჯონსონმა — 24 ქულა. ის საუკეთესო იყო ორივე გუნდის კალათბურთელთა შორის.

**ზაზა ფაჩულია:** 16 წუთი, 4 მოხსნა, 1 შეცდომა, 3 პერსონალური შენიშვნა, 3-დან 0 ორქულიანი.

**როკი 78:74 ვალმეირა**

ორი ქართველი კალათბურთელის ესტონური გუნდი ბალტიის თასზე თამაშს თამაშზე იგებს. მათ ორი მარცხის წილ უკვე ოთხი მოგება აქვთ, სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე არიან და მომავალ ტურში რომც წააგონ მესამეზე ქვემოთ ვერც ჩავლენ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ რიგის ასკ-მ მეექვსე თამაში მოიგო.

„ვალმეირასთან“ გასვლით მატჩში გიორგი ცინცაძემ ამჯერად ძალიან ბევრი, 6 შეცდომა კი დაუშვა, მაგრამ ამის კომპენსირება 6 შედეგიანი გადაცემით მოახერხა და რაც მთავარია, 12 ქულაც დააგროვა.

ვიქტორ სანიკიძე კი ისევ დაცვაზე აკეთებდა აქცენტს და ფარს ამაგრებდა — 8 მოხსნა. ერთი ეგაა, რომ ეს ბიჭი ბალტიის თასზე ჯერ ვერ ახერხებს ქულების სტაბილურად დაგროვებას, თუმცა, ალბათ, არც ეს დროა შორს.

**გიორგი ცინცაძე:** 12 ქულა, 4 მოხსნა, 6 პასი, 3 ჩაჭრა, 5 პერსონალური შენიშვნა, 6 დაკარგვა, 6-დან 2 ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი, 6-დან 5 საჯარიმო.

**ვიქტორ სანიკიძე:** 13 წუთი, 5 ქულა, 8 მოხსნა, 2 დაკარგვა, 1 პერსონალური შენიშვნა, 3-დან 2 ორქულიანი, 4-დან 1 საჯარიმო.

**გიორგი არაბული**



# საქა-რთველოს ტაილანდური

**გაქართველებული** ბრაზილიური ტანდემი საქა და რთველო პეკინის ოლიმპიადის შემდეგ მეორე ტურნირს თამაშობს. არცთუ წარმატებული დუბაის კომერციული შეჯიბრის შემდეგ ჩვენებურები ტაილანდური მსოფლიო ტურის ეტაპზე ძირითადი ბადიდან ჩაერთვნენ.

პირველ რაუნდში „გეობრაზილიელები“ პოლონელებს — ბროსტეკსა და სოვუალას დაუპირისპირდნენ და ორ სეტში გაიმარჯვეს (21:11 21:10), მეორე რაუნდში კი ჰოლანდიელებს — რიმერსსა და სტაიკემას დაუხვდნენ და ისინიც დაჯაბნეს — 21:16 21-19.

საქას და რთველოს მესამე ტაილანდური მეტოქე აშშ-ის წარმომადგენლების — ბრანასა და ტერნერის წყვილი იქნება.

**ზურაბ მიგრიაული**

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი




ფერნანდო ალონსო (მარჯვნივ) და ნელსინიო პიკე „რენოში" რჩებიან

# მიზეზ-მიზეზ აღარ არსებობს

## ფერნან-დოს რენოში არაფერიც არ აკლია

**ახლახან** დასრულებული საპირველფორმულო სეზონის ბოლოს ყველაზე სწრაფი და სტაბილური, არა ლუის ჰემილტონი, ანდა ფელიპე მასა, არამედ „რენოს" ესპანელი მრბოლი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფერნანდო ალონსო იყო, რომელმაც თავისი წლიური 61 ქულიდან 43 სეზონის ბოლო მესამედში, ანუ უკანასკნელ ექვს რბოლაში მოიპოვა და ეს მაშინ, როდესაც ამავე მონაკვეთში ჰემილტონმა და მასამ, შესაბამისად, 28 და 33 ქულა დააგროვეს.

მარტივად რომ ვიანგარიშოთ, „რენო" როგორიც სეზონის მიწურულს იყო, ისეთი თავიდანვე რომ ყოფილიყო, ჰემილტონ-მასას საჩემპიონო ბრძოლაზე ამდენის წერა არ მოგვიხდებოდა, ჩემპიონი სულ სხვა ვინმე გახდებოდა.

მაგრამ, ეს უკვე წასული ამბავია და გაზაფხულზე თუ ზაფხულის დასაწყისში, როდესაც ფრანგული საჯინიბო სადღაც მესამეხარისხოვან როლს ასრულებდა საპირველფორმულო პელოტონში, ვერავინ იტყოდა, „რენო" ბოლოსთვის ამ სიმაღლეზე ავაო.

არადა, ფრანგული გუნდის იტალიელმა შეფმა ფლავიო ბრიატორემ, სწორედ რომ გაზაფხულზე ბრძანა, დღითი-დღე ვუმატებთ და სეზონის ბოლოსთვის ტოპ-გუნდებში გავერევითო. ბრიატორემ გუნდს ასეთი გეგმა დაუსახა — გენერალურ კლასიფიკაციაში მეოთხე ადგილი, ოღონდაც იმ მარტივი გაგებით, რომ წლის ბოლოსთვის „რენო" „ფერარისა" და „მაკლარენ-მერსედესის" შემდეგ ყველაზე სწრაფი, ანუ ტოპ-სამეულში შემავალ „BMW-ზაუბერზე" უკეთესი უნდა ყოფილიყო და გუნდის ტოპ-პილოტ ალონსოს მოწინავე სამეულის პილოტებთან თანაბარი ბრძოლის საშუალება უნდა ჰქონოდა.

ეს გეგმა ორასი პროცენტით შესრულდა — მეოთხე ადგილისთვის ბრძოლაში „რენომ" ყველა კონკურენტს უზარმაზარი უპირატესობით აჯობა და კალენდარში ერთიორი რბოლა კიდევ რომ ყოფილიყო, მესამე ადგილიდან „BMW-ზაუბერსაც" ჩაანაცვლებდა და, რაც შეეხება ალონსოს, ესპანელმა სუპერპილოტმა სეზონის მიწურულს ორი დიდი პრიზი მოიგო და გენერალურ კლასიფიკაციაში „მაკლარენ-მერსედესისა" და „BMW-ზაუბერის" თითო მრბოლი (შესაბამისად, ჰეიკი კოვალაინენი და ნიკ ჰაიდფელდი) უკან ჩამოიტოვა.

შუა ზაფხულში, როდესაც „რენო" პელოტონის შუაში იყო გაჩხერილი, ათასგვარი ჭორი აგორდა — ალონსო ამ საშუალო ძალის გუნდში გამჩერებელი აღარ არის და სადმე, უკეთეს და უფრო ამბიციურ საჯინიბოში გადავაო. თავიდან „ფერარიზე" იყო საუბარი. მაშინ ფელიპე მასამ რამდენიმე რბოლა ჩააგდო და ითქვა, ესპანელი, სწორედ ბრაზილიელის ადგილს დაიკავებსო. შემდეგ სიტუაცია შეიცვალა, მასა საჩემპიონო ბრძოლაში ჩაება და ალონსოსაც მისამართი შეუცვალეს, „BMW-ზაუბერში" გადავა, უხეიროდ მოჯირითე ჰაიდფელდის მაგივრადო. მერე თავი „ჰონდამ" წამოყო. იაპონური საჯინიბოს ინგლისელმა ბოსმა როს ბრაუნმა ბრძანა, ერთ-ორ წელიწადში სუპერგუნდი გვეყოლება, სუპერგუნდს კი სუპერპილოტი სჭირდება და ფერნანდოზე უკეთესს ვის ვნახავთო.

არც „ფერარი", არც BMW, არც „ჰონდა"...

ფერნანდო ალონსო „რენოში" რჩება. ესპანელმა ფრანგულ საჯინიბოსთან ორი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი და შეეცდება, ამ ორ წელიწადში, ორგზის ჩემპიონიდან, მინიმუმ, ტრიკამპეონად იქცეს.

„სეზონის საკმაოდ პრობლემატურად დაწყების შემდეგ „რენომ" რთული პერიოდი უკან მოიტოვა. ჩვენ დღითი-დღე უკეთეს შედეგებს ვაღწევდით, რისი დადასტურებაც სინგაპურსა და იაპონიაში მოგებული ორი ეტაპია. ეს გამარჯვებები და პლუს სეზონის დასკვნით, ბრაზილიურ ეტაპზე დაკავებული მეორე ადგილი იმას მიანიშნებს, რომ „რენო" უკვე უაღრესად კონკურენტუნარიანია — განაცხადა ფერნანდო ალონსომ და დაამატა — რამდენიმე წლის წინ ჩვენ ერთად მოვიპოვეთ ტიტულები და ახლა დადგა დრო, დავამტკიცოთ, რომ შეგვიძლია ძველი წარმატებების გამეორება. მე „რენოში" ვრჩები. აქ თავს კომფორტულად ვგრძნობ. „რენოს" გამარჯვებულის მენტალიტეტი გააჩნია და ამასთან ერთად, აქ თბილი და თავისუფალი ურთიერთობებია, რასაც მე ყველაზე მაღლა ვაყენებ".

ალონსო „რენოში", რჩება და ორგზის ჩემპიონის პარტნიორი, კვლავაც ნელსონ პიკე უმცროსი, ანუ ნელსონინო პიკე იქნება. ამ თემაზეც ბევრი იყო საუბარი — ბრიატორე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის ვაჟის წლევანდელი გამოსვლით უკმაყოფილოაო, მაგრამ მთლად ასე არ ყოფილა საქმე. ბრიატორემ ასე თქვა: „ფერნანდო და ნელსონი შესანიშნავი წყვილია, რომელშიც გამოცდილება და ახალგაზრდობა დიდებულად ერწყმის ერთმანეთს. ალონსოს სჯერა გუნდის და ჩვენც გვჯერა როგორც მისი, ისე პიკესი. ეს ურთულესი სეზონი იყო, მაგრამ უმაგალითო შრომის შედეგად ჩვენ დაკარგული პოზიციების დაბრუნება დავიწყეთ".

აი, ასე — „რენო" სამომავლოდ შემადგენლობას არ ცვლის და ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ საჩემპიონოდ იბრძოლებს. „ფერარის" პილოტთა გარდა, ლუის ჰემილტონს ფერნანდო ალონსოს სახით, კიდევ ერთი უსერიოზულესი კონკურენტი ეყოლება საჩემპიონო ბრძოლაში. მით უკეთესი — გაისად უფრო დაძაბული ჩემპიონატი გამოგვივა.

**ბაჩა ლომაძე**



# დოჰა ამერიკასავით შავდება

ქალები
წლის შემაჯამებელი ტურნირი
დოჰა. ყატარი
საპრიზო 4 550 000 $

**წითელი ჯგუფი**

ვინუს უილიამსი (8, აშშ) — ელენა დემენტიევა (4, რუსეთი) 6:4 4:6 6:3; სერენა უილიამსი (3, აშშ) — დინარა საფინა (2, რუსეთი) 6:4 6:1

**თეთრი ჯგუფი**

ვერა ზვონარიოვა (7, რუსეთი) — ანა ივანოვიჩი (5, სერბეთი) 6:3 6:7 6:4



სერენა უილიამსი

პირველ სათამაშო დღესთან შედარებით გუშინ გაცილებით საინტერესო, დაძაბული და ინტრიგით დატვირთული მატჩები ვიხილეთ 2008 წლის ქალთა წლის შემაჯამებელ ტურნირზე. სამი ჩატარებული შეხვედრიდან ორი მართლაც ლამაზი საცქერი გამოდგა, რადგანაც მეჩოგნეებმა ერთი-მეორეზე უკეთესი სპექტაკლი დადგეს.

მაგრამ მოდით თანმიმდევრობით მივყვეთ ყველაფერს და „თეთრ" ჯგუფში ნათამაშევი ერთადერთი მატჩით დავიწყოთ, სადაც ვერა ზვონარიოვამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძალიან ცდებოდა ყველა, ვინც მას აუტსაიდერად თვლიდა. რუსი დიდებულ ჩოგბურთს თამაშობს და აგერ ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო, რითაც გიგანტური ნაბიჯი გადადგა ნახევარფინალისკენ. ზვონარიოვას ახლა მიზნის მისაღწევად მესამე შეხვედრაში ერთი სეტის მოგებაც ეყოფა — და რომც წააგოს, საუკეთესო ოთხეულში ადგილი მაინც გარანტირებული ექნება.

ანა ივანოვიჩთან შეხვედრა ზვონარიოვამ ისევე დაიწყო, როგორც სვეტლანა კუზნეცოვასთან დაამთავრა და საქმეს თავიდანვე სერიოზულად მიუდგა — ვერამ უცბადვე გააკეთა ბრეიკი და მართალია, სერბი ლამაზმანი ბევრს ეცადა, დაკარგულის ანაზღაურება ვეღარ შეძლო. თუმც ანას ფარ-ხმალი არ დაუყრია და მოახერხა თამაშში გარდატეხის შეტანა, როცა ტემპს უმატა და ამით მეტოქეს გვარიანი დისკომფორტი შეუქმნა.

ივანოვიჩმა ანგარიშის გათანაბრება კი შეძლო, მაგრამ ამ გააქტიურებამ ძალები თითქმის საბოლოოდ გამოაცალა — სერბს ყატარში თურმე რაღაც ვირუსი შეეყრია და ამიტომ სუნთქვის პრობლემები შეექმნა, თან იმდენად სერიოზული, რომ კორტზე ექიმის გამოძახება მოუწია. ჰოდა, სანამ ანამ გონზე მოსვლა მოასწრო, ზვონარიოვას უკვე ბრეიკი ჰქონდა გაკეთებული და მოგებამდე არც არაფერი უკლდა. სერბმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა და 3:5-ზე მეტოქის მოწოდების აღებით თითქოს შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. თუმც აქ ანას უკვე ნერვებმა ვეღარ გაუძლო და რამდენიმე სულელური შეცდომა დაუშვა (მათ შორის ორმაგი), რითაც ზვონარიოვას მოგება ხელში შეაჩეჩა.

აი, „წითელ" ჯგუფში კი ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ შავდა უილიამსებს არანაირი პრობლემები არ შეექმნებათ. ვინუსი და სერენა ჯერჯერობით დაუბრკოლებლად მიიწევენ წინ და თანაჯგუფელებს თითქმის უშანსოდ ტოვებენ.

ვინუსის ამბებით დავიწყოთ, რომელმაც თავისი მეორე შეხვედრა მოიგო და ზვონარიოვასი არ იყოს, ნახევარფინალში გასვლის დიდებული შანსი აქვს. თუმც უფროს შავდას ძალიან გაუჭირდა ელენა დემენტიევას დამარცხება და მხოლოდ საკუთარ განსაკუთრებულ ფიზიკურ მომზადებას უნდა უმადლოდეს რუსის დამარცხება რომ შეძლო.

ჩოგბურთელებმა ძალიან უცნაური პირველი სეტი ჩაატარეს — მოწოდებაზე თამაში არც ერთს არ წაუვიდა. დემენტიევასგან ამას ყველა ელოდა, რადგანაც თამაშის ეს კომპონენტი მისი უმთავრესი სისუსტეა. მაგრამ ვინუსისგან, რომელიც ლამის კაცის სიძლიერით აწოდებს ხოლმე და მის მოქნეულს ყველა ტყვიასავით უფრთხის, ასეთი უხეირო გამოსვლა ნამდვილი სიურპრიზი იყო. მოკლედ, საწყის პარტიაში ბრეიკების სეტყვა ვიხილეთ, მხოლოდ ერთმა შეძლო საკუთარი მოწოდების ერთხელ შენარჩუნება — ეს „იღბლიანი" ვინუსი იყო და აკი ამის გამო ამერიკელი დაწინაურდა კიდეც.

ამის შემდეგ ინიციატივა დემენტიევამ იგდო ხელთ და ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი გადამწყვეტი სეტიც უკეთ დაიწყო, 2:0 დაწინაურდა, თუმც ასეთ ორმოში აღმოჩენა ვინუსს მხოლოდ საუკეთესო თამაშის ჩვენებისკენ უბიძგებს ხოლმე და მანაც მეორე სიჩქარე ჩართო — მომდევნო 7 გეიმიდან მხოლოდ ერთი დათმო და დემენტიევას პირველი მარცხი აგემა.

წარუმატებელი დებიუტი გამოუვიდა დინარა საფინასა — მარატ საფინის უმცროსი და პირველად თამაშობს წლის შემაჯამებელ ტურნირზე და ეტყობა, ამის გამო ძალიან ნერვიულობს, რაც საკუთარი საფირმო თამაშის ჩვენების საშუალებას არ აძლევს. დინარამ ვინუსთან ასე თუ ისე იფაფხურა მაინც, აი, სერენასთან კი თითქმის უბრძოლველად დაყარა ფარ-ხმალი. განსაკუთრებით ეს მეორე სეტზე ითქმის, რომელშიც რუსმა 7 ორმაგი დაუშვა და უმცროსს უილიამსს ძალიან გაუადვილა საქმე.

„კარგია ძალების შენახვა რომ შევძელი, ვინუსთან შეხვედრაში აშკარად გამომადგება. ჩემი დაიკო ისეთ იშტაზეა მოსული, რომ მგონი ყველა მატჩის მიგებას გეგმავს და ჩემს გარდა მისი გამჩერებელი არავინ მეგულება" — ხუმრობდა ნამატჩევს სერენა.

**ბაჩა ლომაყშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# პარკერმა მარკა ასწია

5 ნოემბერი

**ნიუ ორლეანი 79:87 ატლანტა**

ნიუ ორლეანი: პოლი (22 ქულა, 11 პასი), პიტერსონი (6), სტოიაკოვიჩი (8), ვესტი (15), ჩანდლერი (9); პოუზი (10), ბატლერი (4), არმსტრონგი (3), ჯეიმსი (2), ბრაუნი

ატლანტა: ბიბი (8), ჯონსონი (24), უილიამსი (11), სმიტი (11 ქულა, 11 მოხსნა), ჰორფორდი (10); მიურეი (14), ევანსი (8), ლოუ (1), ფაჩულია (16 წუთი, 0 ქულა, 4 მოხსნა)

**ტორონტო 93:100 დეტროიტი**

ტორონტო: ბოში (26 ქულა, 13 მოხსნა), კალდერონი (24)

დეტროიტი: პრინსი (27), ჰამილტონი (22), სტაკი (14)

**ინდიანა 103:113 ფინიქსი**

ინდიანა: ფორდი (23), გრეინჯერი (23), დანიელსი (19)

ფინიქსი: სტუდემაიერი (49 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი, 5 ჩაჭრა), დიაუ (14)

**მაიამი 106:83 ფილადელფია**

მაიამი: ვეიდი (29 ქულა, 7 მოხსნა, 6 პასი, 5 ჩაჭრა, 3 დაფარება), ბისლი (17)

ფილადელფია: იანგი (19), უილიამსი (16), ბრენდი (12 ქულა, 12 მოხსნა)

**ნიუ იორკი 101:98 შარლოტი**

ნიუ იორკი: რენდოლფი (25 ქულა, 13 მოხსნა), რობინსონი (24), ჩანდლერი (18), კროუფორდი (16)

შარლოტი: ფელტონი (18), რიჩარდსონი (17), ოკაფორი (16 ქულა, 15 მოხსნა), ვოლესი (16 ქულა, 11 მოხსნა)

**ოკლაჰომა 83:96 ბოსტონი**

ოკლაჰომა: დურანტი (17), გრინი (16)

ბოსტონი: პირსი (20), ალენი (18), გარნეტი (17)

**კლივლენდი 107:93 ჩიკაგო**

კლივლენდი: ჯეიმსი (41 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი, 4 ჩაჭრა), ვესტი (16), ილგაუსკასი (16 ქულა, 10 მოხსნა)

ჩიკაგო: გორდონი (31), როუზი (20), დენგი (18)

**მილუოკი 112:104 ვაშინგტონი**

*ძირითადი დრო 98:98*

მილუოკი: ჯეფერსონი (32), სეშენსი (22), რიდნური (20 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა)

ვაშინგტონი: ბატლერი (27), ჯემისონი (19 ქულა, 10 მოხსნა), მბა ა მუტე (17)

**მინესოტა 125:129 სან ანტონიო**

*ძირითადი დრო 106:106*

მინესოტა: ჯეფერსონი (30 ქულა, 14 მოხსნა), მილერი (25), ბრიუერი (15), ლავი (14)

სან ანტონიო: პარკერი (55 ქულა 10 პასი, 7 მოხსნა), დანკანი (30 ქულა, 16 მოხსნა), მეისონი (26)

**იუტა 103:96 პორტლენდი**

იუტა: ოქური (22), ბუზერი (20), კირილენკო (17), ბრიუერი (16)

პორტლენდი: ოლდრიჯი (18), როი (18), ბლეიკი (16), ფერნანდესი (14)

**საკრამენტო 100:95 მემფისი**

საკრამენტო: მარტინი (33), სალმონსი (21)

მემფისი: მაიო (28), გაი (18), ლორი (14)

**გ. სტეიტი 111:101 დენვერი**

გოლდენ სტეიტი: ჯექსონი (29), აზუბუკე (22), რაიტი (18 ქულა, 13 მოხსნა)

დენვერი: ენტონი (28), ილარიო (19 ქულა, 15 მოხსნა), ჯონსი (15)

**ლეიკერსი 106:88 კლიპერსი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (27), ოდომი (15), ფიშერი (13)

კლიპერსი: ტორნტონი (22), ტომასი (18), დევისი (17)



ტონი პარკერმა კარიერის რეკორდი დაამყარა

მანუ ჯინობილის გარეშე დარჩენილ და პირველი სამი თამაშის წაგებ „სან ანტონიოს" მხსნელად ტონი პარკერი მოევლინა. 26 წლის ფრანგ გამთამაშებელს ნბა-ში 7 სრულფასოვანი სეზონი მოულევია, თითქმის 600 შეხვედრა ჩაუტარებია, მაგრამ ისე არასდროს უთამაშია, როგორც ამ ოთხშაბათს „მინესოტასთან".

„სფურზისთვის" პირველი გამარჯვების ძიებაში პარკერმა 55 ქულა გაჩარხა და სამი წლის წინ დამყარებული პირადი რეკორდი ერთბაშად 17 ქულით გააუმჯობესა, თანაც 10 პასი და 7 მოხსნაც შეიტანა საერთო აქტივში.

მაგრამ მისი და კიდევ ერთი ძველი ვარსკვლავის ტიმ დანკანის გადასარევი თამაშის მიუხედავად, „სან ანტონიოს" ეს გამარჯვება იოლად არ მისცემია. „მინესოტა" აუტსაიდერი კი გახლავთ, მაგრამ „მგლებმა" კარგად იგრძნეს, რომ გრეგ პოპოვიჩის გუნდი დაუძლურებულია, მკვლელის ინსტინქტი დაჩლუნგებული აქვს და შეტევაზე გადავიდნენ. პარკერს და მისიანებს ორი ოვერტაიმი დასჭირდათ მათი იერიშების მოსაგერიებლად.

„ძალიან გვინდოდა და ძალიან გვჭირდებოდა ეს გამარჯვება — ამბობდა პარკერი ნამატჩევს — არ ვუყურებდი სტატისტიკას, ოღონდ მოგვეგო. ჩემთვის ეს თამაში ისეთი იყო, რომელშიც ყველაფერი გამოგდის, რაც არ უნდა აკეთო."

ასევე უხვქულიანი მატჩი ჰქონდა ამარე სტუდემაიერს, თუმცა მან პარკერისგან განსხვავებით გუნდის ორმოდან ამოყვანის გამო არ გამოიდო თავი — მისი „ფინიქსი" ისედაც სოლიდურად თამაშობს და გამარჯვებები არ უჭირს. ამარეს სამი წლის წინ დამყარებულ კარიერის რეკორდამდე ერთი ქულა დააკლდა. ისე კი მან 15-დან 15 საჯარიმო ჩააგდო.

ამ უხვთამაშიან დღეს 40-ქულიან ნიშნულს ასცდა ლებრონ ჯეიმსიც, ვინაც თამაშიდან 23 სროლიდან 13 ჩააგდო, ხოლო 16 საჯარიმოდან 15 გამოიყენა და „ჩიკაგოს" 41 ქულა აძგერა. დამარცხებული „ხარების" ახალი თავკაცი ვინი დელ ნეგრო ჩიოდა ლებრონი ლებრონია, რა არ ვცადეთ მაგის წინააღმდეგ, მაგრამ არაფერმა არ გაამართლაო.

გაცილებით ნაკლები ქულა მოაგროვა გასული სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ კობი ბრაიანტმა, ვინაც წლეულს ოთხ თამაშში მხოლოდ ერთხელ ასცდა 30-ქულიან თამასას, თუმც მის მიმართ აუგი არავის დასცდება, რაკი „ლეიკერსი" წაუგებლად მიიწევს — გუშინწინ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა თანაქალაქელ „კლიპერსთან", რომელიც მისგან განსხვავებით ჯერ მხოლოდ აგებს.

ასევე დაუმარცხებელია ზაზა ფაჩულიას „ატლანტა", რაც გვარიანი მოულოდნელობაა. „ქორებმა" აქამდე უძლეველი „ნიუ ორლეანი" დაამუხრუჭეს, თავად კი სტარტზე ზედიზედ მესამე გამარჯვება ჩაიწერეს. ჩვენებურ ფაჩულიას წვლილი ამ სასახელო გამარჯვებაში ერთობ მოკრძალებულია, 16 წუთში მას ქულა არ ჩაუგდია და ოთხ მოხსნას დასჯერდა. საუკეთესო კი „ატლანტას" ლიდერი ჯო ჯონსონი იყო, რომელიც გასული კვირის საუკეთესო მოთამაშედ ხომ დასახელდა და ეს მუხტი აქეთ კვირაშიც გადმოჰყვა. მან 24 ქულა ჩააგდო და თავის გუნდს კრის პოლის და კომპანიის ბოლო მეოთხესში გატეხვაში დაეხმარა.

**ირაკლი ფირაშვილი**



## NHL რეგულარული ჩემპიონატი

5 ნოემბერი

**ნიუ ჯერსი 4:3 ტამპა**

*0:1 2:0 1:2 0:0 (1:0 ბულიტებით)*

0:1 იოკინენი (17), 1:1 კლარკსონი (37), 2:1 ელიაში (39), 2:2 იოკინენი (51), 3:2 პანდოლფო (56), 3:3 სენ ლუი (57)

**კოლუმბუსი 5:4 ედმონტონი**

*1:0 1:2 3:2*

1:0 ჰუსელიუსი (19), 2:0 ბრაშარი (23), 2:1 კოლიანო (26), 2:2 მორო (37), 2:3 ჰემსკი (41), 2:4 ბროძიაკი (43), 3:4 ამბერგერი (44), 4:4 მოდინი (45), 5:4 მალოტრი (59)

**ანაჰაიმი 5:2 სენტ ლუისი**

*1:1 3:1 1:0*

1:0 რ. ნიდერმაიერი (1), 1:1 ბერგლუნდი (4), 2:1 სელიანე (23), 2:2 მაკდონალდი (24), 3:2 პერი (26), 4:2 გეცლაფი (36), 5:2 გეცლაფი (59)

# ტამპაში ელავს და ელავს

**ნჰლ-ის** რიგით 91-ე რეგულარული ჩემპიონატი თანდათანობით ხურდება. გუნდებმა მოასწრეს 12-13 თამაშების ჩატარება, რაც საშუალებას გვაძლევს პირველი დასკვნები გავაკეთოთ იმაზე, თუ ვინ რა მიზნებისთვის აპირებს წლეულს ბრძოლას. მართალია, შორსმიმავალი გათვლების გაკეთება უაზრობა იქნება, რადგანაც თითოეულ გუნდს ჯერაც ყველაფერი წინა აქვს და ყველას შეუძლია მდგომარეობის რადიკალურად გამოსწორება, მაგრამ მაინც არ იქნება ურიგო გამოვყოთ ის გუნდები, ვინც უკვე შეძლო სპეციალისტთა გულის მოგება. ერთიორი სიტყვით შევეხოთ იმათაც, ვინც ჯერჯერობით შესაძლებელზე დაბალ დონეზე თამაშობს.

ჯერჯერობით ყველაზე შთამბეჭდავად „სან ხოსე" გამოიყურება, რომელიც შედეგსაც აღწევს და თან იმდენად მძლავრ ჰოკეის აჩვენებს, რომ ზოგიერთმა უკვე სტენლის თასის მოგების მთავარ პრეტენდენტად გამოაცხადა. აქამდე ჯერ მართლაც ნაადრევია, მაგრამ ფაქტია, რომ „დეტროიტიდან" მოსულმა ტოდ მაკლელანმა უკვე დაატყო თავისი ხელი კალიფორნიულ გუნდს და „ზვიგენებიც" მოქმედ ჩემპიონს სულ უფრო ემსგავსებიან — კარგად გამართული დაცვითი თამაში და სწრაფი შეტევა სწორედაც რომ რამდენიმე თვის წინ გაჩემპიონებული „რედ უინგსის" ხელწერაა. „სან ხოსემ" თავის სიძლიერეს ხაზი წინა კვირაშიც გაუსვა, როცა საკუთარ ყინულზე ძალიან შთამბეჭდავად მოუგო ჯერ ფინალისტ „პიტსბურგს", შემდეგ კი არც „დეტროიტი" დაინდო.

რახან მიჩიგანელები ვახსენეთ, მოდით მათი ამბებითვე გავაგრძელოთ — ჯერჯერობით „წითელფრთიანები" ნელ-თბილ შთაბეჭდილებას ტოვებენ. გუნდს სერიოზული პრობლემები აქვს დაცვაში და ჩვეულზე გაცილებით მეტ გოლს უშვებს. თუმც მარიან ჰოსას მოსვლით, რომელიც სხვათა შორის ფანტასტიკურად შეეწყო გუნდს, გაძლიერებული შეტევის წყალობით „რედ უინგსი" სტაბილურად ახერხებს ქულების დაგროვებას და კონფერენციაში მეორე ადგილზეც არის. ხოლო როგორც კი მაიკ ბებკოკი საკუთარი გუნდის თამაშში არსებულ ხარვეზებს გამოასწორებს, რაც აუცილებლად მოხდება, „რედ უინგსი" ნელ-ნელა მიიღებს იმ სახეს, როგორსაც ბევრი ელოდა.

დასავლეთში უმთავრესი იმედგაცრუება უდავოდ „დალასია", რაშიც მთავარი დამნაშავე ძირითადი მეკარე მარტი ტურკოა. ტეხასელთა კიპერი სეზონის სტარტზე მართლაც ამაზრზენად გამოიყურება და საშუალოდ 5 შაიბას უშვებს. ამას ტრავმების ეპიდემიაც დაემატა და გუნდი ცხრილის ფსკერზე აღმოჩნდა. თუმც წინ კიდევ 70-მდე თამაშია და ცოტას თუ ეპარება ეჭვი, რომ „ვარსკვლავები" შეძლებენ მდგომარეობის გამოსწორებას.

აღმოსავლეთში კი ყურადღებას „რეინჯერსი" „მონრეალი" და „ბუფალო" იქცევენ. თუ პირველი ორისგან კარგ თამაშს სეზონის დაწყებამდეც ელოდნენ, „ბუფალოს" კარგი თამაში ბევრისთვის სიურპრიზი გამოდგა. ბოლო წლებში „ხმლები" რეგულარულად კარგავენ ლიდერებს და ამიტომ მათგან მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას არც არავინ ელოდა. მაგრამ ფანტასტიკურად თამაშობს რაიან მილერი, რომელიც დღეისთვის ალბათ საუკეთესო მეკარეა მთელ ნჰლ-ში. პლუს გაცემული ავანსების გამართლება დაიწყო ტომაშ ვანეკმაც, რომელსაც ლამის ყოველ მატჩში გააქვს — 12 შეხვედრაში ავსტრიელმა უკვე 11 შაიბა შეაგდო.

ბევრს აკრიტიკებენ „პიტსბურგსაც", რომელიც ძალიან უხეირო ჰოკეის თამაშობს. თუმც ამაში გასაკვირი არაფერია, რადგანაც გუნდმა ზაფხულში ლამის ნახევარი შემადგენლობა დაკარგა. ყველაფრის მიუხედავად, „პინგვინები" მაინც აგროვებენ ქულებს და ცხრილის შუაგულში არიან, ხოლო როცა გუნდი ნელ-ნელა შეთამაშდება, პლუს ლიდერები — სიდნი კროსბი და ევგენი მალკინი — ფორმაში შევლენ, ისევ კონფერენციის რისხვად იქცევა.

არავინ ელოდა „ტამპას" ამდენად მალე აღორძინებასაც. „პიტსბურგისგან" განსხვავებით ფლორიდელებმა ხომ შემადგენლობა ფაქტობრივად მთლიანად გამოცვალაეს, რის გამოც ეს სეზონი გუნდისთვის გარდამავალ წლად უნდა ქცეულიყო. მაგრამ „ელვები" ისეთი ტემპებით უმატებენ, რომ უკვე ამ სეზონში შეძლებენ ფლეი ოფისთვის ბრძოლას. ამაში მთავარი „დამნაშავე" ახალგაზრდა მეკარე მაიკ სმიტია, რომელიც სულ უფრო კარგად გამოიყურება და თავისი დამაჯერებელი თამაშით პარტნიორებს საკუთარი ძალების რწმენას მატებს.

**კახა ლომაშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიდაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge